№ 33 **სახალხო გაზეთი** № 33

ოთხშაბათი 16 ივნისი, 1910 წ. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა წელიწადი პირველი

## ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

**ოთხშაბათს, 16 ივნისს, 1910 წ.**

ქართულ დრამატიულ არტისტებისაგან სცენის მოყვარეთა დახმარებით წარმოდგენილი იქნება

I. **და-ძმა** დრ. 5 მ. და 6 სურათ. გ. გუნიასი.

მონაწილეობენ: ქ-ნნი: კარგარეთელი, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი შ. საფაროვი, კ. ჭელიძე, დ. მგალობლიშვილი, ა. მატარაძე, ი. გრიშაშვილი, კულაშვილი, ანაშვილი, მაისურაძე, კაპანაძე, ალექსიძე და სხვ.

II. **საკონცერტო განყოფილება**

მონაწილეობენ: ქ-ნი მ. გ. მესხელაშვილი, ბ-ნნი: ი. გრიშაშვილი, გ. ჩუბინოვი და ელიოზოვი.

ადგილების ფასი 10 კ.-დან 1 მ.-მდე. **დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. გამგე **კ. ჭელიძე.**

## ქართველ თავ. აზნაურობის ახალი თეატრი და ბაღი.

**ხუთშაბათს, 17 ივნისს, 1910 წ.**

პეტერბურგის ქართ. სამეცნიერო წრის სასარგებლოდ გაიმართება არაჩვეულებრივი წარმოდგენა-სეირნობა **კ. ფოცხვერაშვილის და ალ. წუწუნავას** მონაწილეობით:

I

**პირ მზე**

მუსიკა კ. ფოცხვერაშვილისა, სიტყვები შოთა დადიანისა.

II

**ზეინაბის და ოთარბეგის გასამართლება**

(მარში PAR-DON-ისი)

ესპანიელი მოცეკვავე M·LLE NERO და სხვა მრავალი გასართობი ნომრები. სხვათა შორის ბოშათა გუნდი „ნატა შილის“ მეთაურობით.

III

**უზარ მაზარი ცირკი**

კლოუნები, ძოჭიდავენი ატლეტიკის პროფესორის პოდმეხინის მეთაურობით, ჯამბაზები და სხ. იმიტაციები სხვა და სხვა გამოჩენილ მომღერლების, არტისტების და პოეტებისა.

**ბ ა ღ შ ი ს ე ი რ ნ ო ბ ა.**

რგოლთა სროლა, პტიშკი, კონფეტი და სხ. სეირნობა დაიწყება საღამოს 6 საათზე, წარმოდგენა 8½ ს. ფასი: ბაღში შესვლა დიდებისათვის 30 კ. მოწაფეთათვის 15 კ. თეატრში ფასები 2 მ. 60 კ.—40 კ.-მდე.

რეჟისორი **ალ. წუწუნავა.** დიასახლისი **კნ. ელ. ვახ. ვაჩნაძე.**

თეატრში შესვლა მოწაფეთ არ შეუძლიანთ პოლიციის განკარგულებით. დაწვრილებით აფიშებში.

## ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

ზ. ს. ს. ს. ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრე

შაბათს, 19 ივნისს, 1910 წელს,

**ა. იმედაშვილისა და ვ. გამყრელიძის მონაწილეობით**

წრის სცენის-მოყვარეთა დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

**ებრაელები**

დრამა 4 მოქმ. ჩირიკოვისა.

მონაწილ. მიიღებენ: ქ-ნნი ბ. ნებიერიძე, ა. საგინაშვილისა; ბ-ნნი: მ. ანაშვილი, დ. ბაქრაძე, გამყრელიძე, გოცირიძე, ა. იმედაშვილი, მ. ინაშვილი, მეტრეველი, ს. პეპანოვი, ფრონისპირელი, კ. ხახანაშვილი, ჭანკვეტაძე და სხვ.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში ყოველ-დღე: დილით 12—2 და საღამოს 6—8 ს.

**დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.**

**ანონსი:** შემდეგი ქართ. წარმოდგენა გაიმართება კვირას 20 ივნისს. მზადდება წარმოსადგენად: „ექიმი აშირბაჯიანი“, ტრ. რამიშვილისა და „მაღაროს მუშა“. გერბიდონისა.

რეჟის. **ა. იმედაშვილი.** ადმინისტ. **ა. ჭიაბერაშვილი.** მორიგი წევრი **დ. ბაქრაძე.**

## ექ. ვ. ღამბაშიძის სანატორიუმი

**პატარა ცემში**

**გაიხსნა 15 ივნისს ორის განყოფილებით:**

ერთი—საბავშო, მეორე—დიდებისათვის.

დაწვრილებით პირობების გასაგებად მსურველთ უნდა მიმართონ წერილით ექიმს ვახტანგ ღამბაშიძეს **ბორჯომით** პატარა-ცემს.

(25—13)

## ვაგზლის კერძო საავადმყოფო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

**ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიაჯიანცისა, ტელეფონი № 695.**

**ვ. გაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**შ. ა. მიქელაძე**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

**ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

(წლ.—ნ.—365)

## ტფილისის კერძო საავადმყოფო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს,

ტელეფონი № 590.

**ღამბაშიძე ვ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყოვ. დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელ. ქ. ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.

**გორბოვსკი-ზარანეკი ე. გ.** თვალისა. ყოველ-დღე კვირის გარდა 12—1 საათ.

**ზურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარ. 1—2 ს.

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

**ფირალოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

**პაპოვი ბ. ა.** ქურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

**ხობოლევსკი გ. მ.** ქირურ. ყოვ. დღე, 9—11 ს.

საავადმყოფოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით.

(200—ნ.—204)

## წიგნის გამომცემელი ამხანაგობა

## ალიონი

**მიიღება ხელის მოწერა სამ წიგნზე ერთად, 1 ივლისამდე.**

1 **კარლ კაუცკი.**—(კარლ-მარქსის ეკონომიური მოძღვრება) თარგმანი რუსულიდან **ფ. მახარაძისა**, ავტორის და კ. მარქსის სურათებით, მათი მოკლე ბიოგრაფიებით და მთარგმნელის კრცელი წინასიტყვაობით და განმარტებებით. დაახლოვებით 500 გვერდამდე.

2 **ივ. გომართელი.** „ადამიანის ნება და ზნეობა“ 100 გვერდამდე.

3 **ანასტასია ერისთავ-ხოშტარიასი.** „ბედის ტრიალი“ (რომანი) და „ეკკლესიის გარშემო“ (მოთხრობა) ავტორის სურათით (ორივე ერთ წიგნად), პირველის შინაარსი აღებულია ქართველ თავად-აზნაურობის და მღვდელ-დღევანდელ სამღვდელოების ცხოვრებიდან 400 გვერდამდე.

სამივე წიგნი დაიბეჭდება ცალ-ცალკე ერთ და იმავე დროს. ხელის მოწერით ეღირება მხოლოდ **ერთი მანეთი.**

ხელის მოწერა დაიწყო პირველ მაისიდან ამა 1910 წლისა და შეწყდება 1-ლ **ივლისს.**

იმ ადგილებიდან, სადაც ჩვენ კვიტანციის გამყიდველი არა გვყავს, ხელის მომწერლებმა ერთი მანეთის გარდა გამოგზავნონ კიდევ ათი შაური ფოსტის ხარჯი, ე. ი. 1 მ. 50 კ. სამივე წიგნის.

ვინც ზემოხსენებულ დროს განმავლობაში არ მოაწერს ხელს ხსენებულ წიგნებზე, ის ცალკე გასაყიდათ წიგნებს ვერ იშოვის, ხოლო თუ იშოვა, სამჯერ მეტი ეღირება ვინემ ხელის მოწერით.

გამომცემლობის მიზანია კარგ შინაარსიან წიგნების იაფ-ფასად გამოცემა, რასაც ამტკიცებს „ალიონი“-ს მიერ გამოცემული წიგნები: N 1. „მოკლე კურსი ეკონომიურ მეცნიერებისა 567 გვერდიანი, ღირდა ხელის მოწერით 60 კ. და N 2. „გლეხი-კაცის ისტორია“ 1080 გვერდიანი წიგნი ხელის-მოწერით ერთი მანეთი.

თუ ვინიცობაა ზოგიერთ შემთხვევაში სხვა და სხვა საპატიო მიზეზების გამო გადარჩა ზედმეტი ეგზემპლიარები გამოცემული წიგნებისა, ასეთები უსათუოდ სამჯერ მეტ ფასში გაიყიდება, როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, ვინაიდან სხვა გზით შეუძლებელია **ამ სისტემით წიგნების გამოცემა.** ამიტომ ვურჩევთ მსურველთ ხელის მოწერით შეიძინონ ხსენებული წიგნები.

გამომცემლობა ხელის-მომწერთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ უცნობ პირებისაგან კვიტანციები არ იყიდონ. ხელ-მოსაწერ კვიტანციებზე დაკრულია «ალიონის» ბეჭედი.

წიგნები დაურიგდებათ ხელის-მომწერთ სექტემბრის პირველ რიცხვებში. პროვინციებში წიგნები მიიღება კვიტანციის გამყიდველთან და ტფილისში გამომცემლობის გამგესთან, კიროჩნი ქ. N 21.

როგორც ტფილისში, ისე პროვინციებში ხელის-მოწერა მიიღება ჩვენ აგენტებთან.

**„გლეხი-კაცის ისტორიაზე“ ხელის მომწერთა საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ წიგნები უკვე გაეგზავნა აგენტებს და ცალკე ხელის მომწერთ.** ვისაც ეს წიგნი არ მიუღია, უნდა გვაცნობონ ღია წერილით, ამასთანავე თუ წიგნში ფურცლები გადაუჭრელი აღმოჩნდეს, ასეთ წიგნებს გამომცემლობა გამოუცვლის ხელის-მომწერთ.

ფული და სხვა მიწერ-მოწერის ქაღალდები, აგენტურის და ხელის-მოწერის შესახებ უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Василію Гадилія, Кирочная ул. № 21. **აქვე გადავიდა წიგნის მაღაზია „ალიონი“.** (0—2) წიგნის გამომც. ამხ. „ალიონი“-ს გამგე **ვასილ გადილია.**

## სათავად-აზნაურო საზაფხულო თეატრი

**შაბათს, 19 ივნისს, 1910 წელს**

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის სუფლიორი **ბ. ბეგლარიძე** გამართავს ქართულ წარმოდგენას. წარმოდგენილ იქნება:

I

**ძუნწი**

კომედია 2 მოქმედებად გ. ერისთავისა.

**მონაწილეობენ:** ქ.ქ. ქილარჯიშვილი, შოთაძე, ბ.ბ. **ვ. აბაშიძე,** ა. იმედაშვილი, კ. ჭელიძე, ზ. საფაროვი და სხ.

II

**დიდი დივერტისმენტი**

**მონაწილეობენ და თავის თხზულებას წაიკითხავენ:**

შ. არაგვისპირელი, აწოსპირელი, ბაბილინა, განდეგილი, გელა, გრიშაშვილი, დუტუ-მეგრელი, ეკალაძე, ელეფთერიძე, ირეთელი, ლუკაშვილი, ს. ყიფიანი, კ. მაყაშვილი, ლ. მეტრეველი, დ. ნაზღურიშვილი, ნარკანი, ქუჩიშვილი, ტუქსიშვილი, ცქვიტი.

**დასაწყისი სწორედ საღამოს 8½ საათზე. ბილეთების ფასი** 2 მ. 60 კ-დან 40 კ-დე.

**ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.**

მოწესრიგე **ბეგლარიძე—ახოსპირელი.** რეჟისორი **ვ. აბაშიძე.**

**P. S.** ვთხოვთ ყველა მონაწილეთ, მობძანდნენ ხუთშაბათს, საღამოს 5 საათზე ქართულ თეატრში რეპეტიციისთვის.

**ქართული** დრამატიული საზოგადოების გამგეობა სთხოვს ყველას, ვისაც საზოგადოების წიგნთსაცავიდან პიესები და როლები აქვს წაღებული, საჩქაროდ უკანვე დაუბრუნოს გამგეობის სადგომში ბიბლიოთეკის გამგეს იოსებ იმედაშვილს.

(5—2) **ქართ. დრამ. საზ. გამგეობა.**

**იყიდება**

სიძვირისა გამო მეტად იაფად საქონლით სავსე მაღაზია თავისი მოწყობილებით და ავეჯით. მიხაილოვის ქ. № 36. (1—318—1)

**ზემო ავჭალაში** იძლევა აგარაკი ორი ოთახი თავის სამზარეულოთი. ოთახები მოთავსებულია ზემო სართულში და გარშემო მშვენიერი ბაღი აკრავს. პლატფორმიდან სულ შვიდი წუთის სასიარულოა.

**იკითხეთ „სახ. გაზ.“ რედაქციაში.**

**ქართულ** გიმნაზიის უფროსი კლასის მოწაფე ამზადებს მოწაფეებს დაბალ გიმნაზიურ კლასებისთვის და სხვა სასწავლებლებში.

იკითხეთ „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში. (0—6.—4)

**ექიმი დ. ახვლედიანი** იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ.

**ექიმი** ქუთაისში **კ. თ. ტყეშელაშვილი** იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (ხუსუნატი, სიფილისი, სამარცე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) ხატკივარი). დილით 9—12, საღამოთი 5—7 საათ., კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ყირალოვისა. (72—33.—67

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა (უ)

**ექიმი** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდრონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—458)

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—148)

**ექიმი ვასილ წერეთელი** ქუთაისში იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—205)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა.** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—6.—85)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი ვ. ღამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. უ)

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

**ექიმი მ. ს. არჯევანიძე** ქუთაისში. იღებს ავადმყოფებს: შინაგან, ქალთა სნეულებ. აგრეთვე საბებიოდ. დილის 9—12 ს. საღამოს 6—7 საათ. გარდა კვირა-უქმე დღეებისა. პუშკინის ქ., სახ. ი. ი. გოკიელოვისა. (25—33.—1)

## ტფილისი, 16 ივნისი.

ჩვენი თავად-აზნაურობა თავის სახეს დაეძებს. ყველა საზოგადოებრივი ჯგუფი გარკვეულ მიზნებს ისახავს, მოქმედებს ამ მიზნის განსახორციელებლად და ყოველ თავის ნაბიჯს მათ უქვემდებარებს. მტკიცედ განსაზღვრული დანაწილება საზოგადოებათა, რა თქმა უნდა, უკვე საკმაოდ განვითარებულ მოქალაქობრივ ცხოვრების დროს შეიძლება. ჩვენში არც თვით საზოგადოება იმდენად განვითარებული, რომ დიფერენციაცია ნათელი გახდეს და არც გარეგანი პირობები უწყობენ, ჯერ-ჯერობით, ხელს. მაგრამ განსაზღვრული დანაწილება მაინც არსებობს. ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს არა ვიწრო პარტიობა, არა პირად ჯგუფობრივ ინტერესებზე აღმოცენებული უთანხმოება, ეს მუდმივი თანამგზავრნი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა, არამედ ის დიფერენციაცია, რომელსაც თვით სინამდვილეში ბევრი ღრმა გასამართლებული საბუთები მოეძებნება. განმანთავისუფლებელ მოძრაობის დროს, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მთელი ჩვენი საზოგადოება, ნებსით თუ უნებლიეთ, უკიდურეს მემარცხენეთა გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ზოგიერთ ელემენტები ბევრს უხერხულობას გრძნობდნენ ამისთანა მდგომარეობით, მაგრამ საკუთარი უმოქმედება, უილაჯობისა, უქონლობა მტკიცე პრინციპებისა, განსაზღვრულ იდეალებისა, შეუძლებლად ხდიდნენ მათს ორგანიზაციულ შეკავშირებასა და მოქმედებას, მოძრაობამ მათ მოულოდნელად მოუსწრო. მისმა ქარ-ტეხილმა მთელი საქართველო ჩაითრია და თითქოს ყოველ-გვარი ნების-ყოფა დაუკარგა იმათ, ვისთვისაც არსებითად შეუძლებელი იყო მემარცხნე მიმართულებათა გაზიარება. უკანასკნელ წლებში მოძრაობის მიყუჩების შემდეგ, ზომიერ ელემენტთა აზრიც ამუშავდა. დაიბადა სურვილი თვით გამორკვევისა. პროცესი თვით-გამორკვევისა ნელ-ნელა, მაგრამ სისტემატიურად, ეხლაცა ხდება. სხვა დროს ჩვენი ზომიერი ელემენტები ისე დაქსაქსულები აღარ იქნებიან, როგორც წინათ იყვნენ და ისე თავისუფლად აღარ დამორჩილდებიან უკიდურეს მემარცხენეებს, როგორც წინად ემორჩილებოდნენ. ასეთი მოვლენა აუცილებელიც არის და, თუ გნებავთ, სასარგებლოც. როგორც თვით ზომიერთათვის, ისე უკიდურესთათვის.

თვით-გამორკვევის პროცესში იმყოფება თავად-აზნაურობაც. ჩვენი ცხოვრების განსაკუთრებულმა პირობებმა თავად-აზნაურობასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა მისცა. ერთხანად იგი ეროვნულ ცხოვრების მესვეურად იყო გადაქცეული. ბატონ-ყმობისაგან წელში მოხრილი გლეხ-კაცობა სწუხდა, იგი სულს ძლივს-ღა ღაფავდა, ქალაქური ცხოვრება საკმაოდ არ იყო განვითარებული, პატარა ინტელიგენციაც თავად-აზნაურთა წრიდან გამოდიოდა და ბუნებრივად, რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ, განათლებული ახალ-გაზრდანი თავად-აზნაურობას ეკედლებოდნენ. ყველა ეს თავად-აზნაურობას ისეთს პირობებში აყენებდა, რომ მას ვერ შეეძლო ეროვნულ ცხოვრებისთვის გვერდი აექცია და უყურადღებოდ დაეტოვებინა ერის უსაჭიროესი მოთხოვნილებანი. ისიც მუშაობდა, რამდენადაც შეეძლო და როგორც შეეძლო. მაგრამ თავად-აზნაურობის ეროვნულ მოღვაწეობას თან ახლდა ერთი რამ, რაც ლოღიკურად გამომდინარეობდა მის მდგომარეობიდან და რის თავიდან მოშორებაც მას, როგორც თავად-აზნაურობას, ვერას გზით ვერ შეეძლო. ჩვენ წოდებრივი ინტერესი გვაქვს მხედველობაში. როდესაც ქართველი თავად-აზნაურობა, რუსეთის სახელმწიფოებრივ ფარგლებში, იმავე პრივილეგიებით აღიჭურვა, რანაირითაც რუსეთის თავად-აზნაურობა იყო აღჭურვილი, წმინდა ეროვნული მოქმედება არსებითად შეუძლებელი გახდა. რუსეთში თავად-აზნაურთა წოდება რუსულ ცხოვრების ძველ ტრადიციების დამცველად ითვლება. რუსეთის თავად-აზნაურობის მისსია იმაში მდგომარეობდა და ეხლაც იმაში მდგომარეობს, რომ ეს ტრადიციები განემტკიცებინა და სახელმწიფოს ცხოვრების განვითარებისთვის ისეთი მიმართულება მიეცა, რანაირსაც მათი წოდებრივი ინტერესი მოითხოვდა.

რუსეთის თავად-აზნაურთა მსგავს პრივილეგიებით აღჭურვილი ქართველი თავად-აზნაურობა მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა: ერთის მხრით იგი ვითომ ეროვნულ ნიადაგზე იდგა და სურდა ეროვნულ ცხოვრების მესვეურობა გაეწია, მეორის მხრით კი მას, როგორც წოდებას, ვერ შეეძლო თავის ლოღიკურ დასკვნამდე მიეყვანა ეს მესვეურობა. ამრიგად ქართველი თავად-აზნაურობა ორი ღმერთის მოთაყვანებლად გადაიქცა.

ამ გარემოებამ კი დიდი ვნება მოუტანა ქართულ ეროვნულ ცხოვრების განვითარებას; მან განსაკუთრებული ფსიხიკა შექმნან რაღაც არა ნორმალური აზროვნება, რომელიც შეუთანხმებელ მომენტების შეერთებასა ცდილობდა. ამ შეუთანხმებელ მომენტების შეერთებამ გამოიწვია ისიც, რომ თავად-აზნაურობას თავის დღეში არც თავისთვის ჰქონია გარკვეული ეროვნული მიზნები და ინტელიგენციის იმ ნაწილსაც დაუკარგა, რომელიც თავად-აზნაურობის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ამიტომაა, რომ ჩვენში როდესღაც «გენერლების» გამრავლე-

ბასაც კი ეროვნულ წარმატებათა სთვლიდნენ, ამიტომ მიაჩნიათ დიდ ეროვნულ საქმედ ეხლაც გადაგვარებულ, სამშობლო ნიადაგს დაშორებულ ინტელიგენციის გამრავლება. დღემდის თავად-აზნაურულ აზროვნებით იყო გამსჭვალული დიდი ნაწილი ინტელიგენციისა. თან და თან ეს ბურუსი იფანტება. ეროვნული იდეალები ისახება, მუშავდება სათანადო ფსიხიკა და საქმიანობასაც ისეთი მიმდინარეობა ემჩნევა, რანაირსაც ერის ნამდვილი საჭიროებანი მოითხოვს. რამდენათაც გარკვეული ხდება ეროვნული მისწრაფებანი, იმდენად ძალიან შორდება ინტელიგენცია თავად-აზნაურობას და უახლოვდება ხალხს, იმ ერთად ერთს სალაროს ეროვნულ ცხოვრებისას. რამდენადაც ძალიან შორდება ინტელიგენცია თავად-აზნაურობას, იმდენად ეს უკანასკნელი უფრო გამიჯნული რჩება საერთო საერო ცხოვრების ასპარეზიდან და გარკვეულ წოდებრივ ხასიათს იღებს. დადგება დრო, როდესაც ეროვნულ ინტერესით გამსჭვალული ინტელიგენცია და ხალხი სრულიად გასწყვეტავს კავშირს თავად-აზნაურობასთან, მაშინ თავად-აზნაურთა წოდებრივი და ანტი—ეროვნული ხასიათი უფრო თვალსაჩინო გახდება. დღეს კი, სანამ ეს დაშორება სავსებით არ მომხდარა, ბევრს თავად-აზნაურობა მაინც ეროვნულ ცხოვრების მატარებელი ჰგონია. ეს კი ხდება იმიტომ, რომ ეროვნული ფრაზეოლოგია ნამდვილ ეროვნულ საქმიანობად მიაჩნიათ. თავად-აზნაურობის მოქმედება დღეს მხოლოდ სიტყვით არის ეროვნული, საქმით კი იგი არაფერს ეროვნულს არ შეიცავს.

თავად-აზნაურთა მოქმედებაში ეროვნული და წოდებრივი ინტერესები გადახლართ-გადმოხლართულია. ეს კი ჰბადებს ილიუზიას, თითქოს თავად-აზნაურობა მტკიცე ეროვნულ ნიადაგზე იდგე'. რაც დრო გავა, წოდებრივი ინტერესები თავად-აზნაურობისა უფრო თვალსაჩინო გახდება და ეროვნული დაიჩრდილება; ამის ნიშნებს ეხლავე ვამჩნევთ. ოდესღაც თავად-აზნაურობას ეროვნული თავმოყვარეობა მაინცა ჰქონდა. მართალია ეს თავმოყვარეობა თავისებურად ესმოდათ, მაგრამ იგი მაინც არსებობდა. ეხლა კი სრულიად გულგრილად ისმენენ ისეთს განცხადებას, რანაირიც თავ. ბაგრატიონ-დავითიშვილის განცხადება იყო ქართულად ლაპარაკის შესახებ თავად-აზნაურთა კრებაზე. საყურადღებოა აგრეთვე სურვილი საკუთარი ორგანოს გაჩენისა. თავ. ბაგრატიონ-დავითიშვილის სიტყვაში სავსებით გამოიხატა სურვილები თავად-აზნაურობისა. მან საჯაროდ და აშკარად განაცხადა, საჭიროდ მიგვაჩნია ისეთი გაზეთი, რომელიც ჩვენს ინტერესებს ემსახურებაო. ამ სიტყვით თავად-აზნაურთა ინტერესები აშკარად დაუპირისპირდა ქართველ საზოგადოების იმ ნაწილის ინტერესებს, რომელსაც თავად-აზნაურობის მოქმედება მავნებელ და არა ეროვნულ მოქმედებად მიაჩნია.

პროცესი ამნაირის გაიშვისა და განცალკევებისა აღარ შეჩერდება; იგი უფრო გაიზრდება და გაღრმავდება. თავად-აზნაურობა თავის წოდებრივ ინტერესების სამსახურს დაუბრუნდება, ინტელიგენცია კი ხალხს მიმართავს, ვინაიდან ეროვნულ ცხოვრების განახლება და გაცხოველება მხოლოდ დემოკრატიას შეუძლიან.

## ნარკვევი
(ჟურნალ-გაზეთებიდან)

სოფლის მასწავლებელთა და საზოგადოთ სოფლის სასწავლებლების მდგომარეობა თანდათან მეტს ყურადღებას იპყრობს. განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ სწავლება იმ გეგმით არა სწარმოებს, რომელიც დადასტურებულ იქმნა 1881 წელს. მასწავლებლები თავის უფროსთა გულის მოგებას უფრო ცდილობენ, ვიდრე სწავლა-აღზრდის რაციონალურად დაყენებაზე. ამ საკითხს ეხება „ჩვენ გაზეთში" ბ-ნი ვ. სისოშვილიც.

ტფილისის გუბერნიაში, ეხლახან მასწავლებლებს დაურიგეს გეგმა ახალი პროგრამის სავდულათ, ამბობს ბ-ნი სისოშვილი,—სწორეთ ამ ახალი პროგრამის გეგმაზე მინდა მივაქციო მკითხველის ყურადღება.

პროგრამის გეგმა შედგენილია ტფილისის პირველდაწყებითი სკოლების მასწავლებელთა მიერ. სახელმძღვ. ის ძალიან მოკლე, მშრალი და სხოლასტიურია. მასში ახალი მხოლოდ გეომეტრიაა და ქართულ ენას აქვს დათმობილი ადგილი, სხვა სულ ძველ რიგზეა დატოვებული. მასთან პროგრამას, უმეტესად, ქალაქის სკოლები აქვს საზომი და სოფლის სკოლებისათვის უფრო ნაკლები ღირებულებისაა. ამ გეგმით სწავლა ერთ-კლასიანში ოთხი წლისწადი სწარმოებს. პირველ წლის პირველ ნახევარში სწავლა მხოლოდ დედა-ენაზე სწარმოებს, რუსულ ენას პირველ წლის მეორე ნახევრიდან ასწავლიან და ის თან და თან შედის თავის უფლებაში. არითმეტიკა პირველ ორ წლისწადს დედა-ენაზე ისწავლება, სამღრთო სჯული კი მთელი კურსის განმავლობაში სამშობლო ენაზე. ასეთია მოკლეთ ამ პროგრამის მინაარსი. ეს პროგრამა, შედარებით, უკეთესია ძველზე. ამაში სამშობლო ენას ცოტა ადგილი მაინც აქვს დათმობილი, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეს პროგრამა მარტო ოფიციალურია და ნამდვილად კი ძველ პროგრამას მოითხოვენ უფროსები. რევიზიის დროს ისინი დიდ ყურადღებას აქცევენ რუსულ ენას და მასწავლებლის შრომას იმდენად აფასებენ, რამდენადაც მას რუსული უსწავლებია. ხოლო ქართულ ენას რევიზორი არც კი აქცევს ყურადღებას. ან რანაირად უნდა მიაქციოს მან ყურადღება ქართულ ენას, როცა მისი არა გაეგება-რა. უფროსებათ, როგორც ვიცით, თითქმის ყველა რუსებია და თითო ორ-ორს თუ შეხვდებით ქართველს, ესენი თავის მოქმედებით ზმირად პირველთ გადააჭარბებენ, რომ ამნაირად ტყავი შეინარჩუნონ.

მეორე ნაკლი ჩვენი სოფლის მასწავლებლებისა იმაში მდგომარეობს, რომ იგი სრულებით განცალკევებულათა სდგას. ისინი ვერც ისეთს ცოდნას აძლევენ მოწაფეებს, რომ სოფელში გამოიყენონ. სწავლის გასაგრძელებლადაც საკმაოდ მომზადებულნი არ არიან.

„სოფლის სკოლები იმ პროგრამით რადგან ცალკე კატეგორიას შეადგენს, მათ არაფერი აკავშირებს უფროს სასწავლებელთან. სიმართლე და სწავლა-განათლების საქმე კი მოითხოვს მჭიდრო კავშირს პირველ-დაწყებითი, დაბალ, საშუალო და უმაღლეს სასწავლებელ შორის, რომ ერთი მეორის გაგრძელება და უმაღლესი საფეხური იყოს, მაგრამ ეს ჯერ-ჯერობით მხოლოდ ოცნებაა. და ახალი პროგრამა კი სოფლის სკოლებში ახალ უკუღმართობას ბადებს სწავლა-განათლების საქმეში".

სოფლის სკოლების მდგომარეობა არც ჩვენ გვაკმაყოფილებს, მაგრამ ის კი საჭიროდ არ მიგვაჩნია, რომ სოფლის სასწავლებლებს აუცილებლად საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებისაკენ გაეხსნას გზა, თუ, რასაკვირველია, თვით საშუალო და უმაღლეს სასწავლებელთა ტიპი არ შეიცვალა. უპირველესად ყოვლისა ისაა საჭირო, რომ სოფლის სასწავლებელი ცოტათ თუ ბევრად დამთავრებულ ცოდნას იძლეოდეს, საშუალო სასწავლებელიც კი ისე უნდა იყოს მოწყობილი. მით უფრო საჭიროა ეს სოფლისთვის, სადაც განსაკუთრებით გლეხი-კაცის შვილები იზრდებიან, ისეთი ელემენტი, რომელიც სოფელს ძნელად შორდება. სოფლის სასწავლებლებში სოფლისთვის გამოსადეგ ცოდნას უნდა იძლეოდე'.

## სახელმწიფო საბჭო
(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტო)

**14 ივნისის სხდომა.**

საბჭომ მოისმინა უმაღლესად დამტკიცებულ კანონ-პროექტების სია, უცვლელად მიიღო 29 წვრილი კანონ-პროექტი და შემდეგ შეუდგა ფინლანდიის კანონ-პროექტის მუხლებრივ განხილვას. **მანუხინმა** განაცხადა, რომ კანონ-პროექტის მეორე და მეხუთე მუხლები შეთანხმებული არაა რუსეთის ძირითად კანონების მეორე მუხლთან. აქამდის ფინლანდიის მართვის ძირითადი კანონების გამოცემა მეფის უფლებას შეადგენს და ეს კანონ-პროექტი ვერ შესცვლის ამ წესს. **გრიმმა** მხარი დაუჭირა მანუხინს, და დაუმატა, რომ მეორე მუხლი კანონ-პროექტისა არსებითად ეწინააღმდეგება როგორც რუსეთის ძირითად კანონებს, ისე იმ მანიფესტს, რომლის ძალითაც ეს კანონ-პროექტი საკანონმდებლო დაწესებულებებს წარედგინა განსახილველად. თუ ეს მუხლი მიღებულ იქმნა, ახალ მთავრობას შეუძლიან ძირიანად შესცვალოს ფინლანდიის კონსტიტუცია. კენჭის ყრით მანუხინის წინადადება უარყოფილ იქნა. მეხუთე მუხლი სათათბიროს რედაქციით იქნა მიღებული. **გრიმმა** კვლავ განაცხადა, რომ მეხუთე მუხლის მიღების შემდეგ მას შეუძლებლად მიაჩნია მოსთხოვოს საბჭოს, რომ განხილულ იქნას მეექვსე მუხლის შესახებ შეტანილი შესწორებანი, რადგან, როგორც ირკვევა, გარდა წინდაწინვე უზრუნველ ყოფილი ბიუჯეტისა, უზრუნველ ყოფილი კანონ-პროექტებიც არსებულა. თავმჯდომარემ სიტყვა გააწყვეტინა გრიმს და შენიშვნა მისცა. გრიმმა განაგრძო ლაპარაკი და კვლავ განაცხადა, არავითარი იმედი არაა, რომ შენიშვნა მიღებული იქნება, რადგან ყველაფერი წინდაწინვე განსაზღვრულია. ამიტომ ვხსნი ჩემ მიერ წარმოდგენილ შესწორებასაო. ამის შემდეგ გრიმი, სტახოვიჩი და საბჭოს მემარცხენე ჯგუფის ყველა წევრები დარბაზიდან გავიდნენ. მეექვსე და მეშვიდე მუხლები უცვლელად იქნა მიღებული. იუსტიციის მინისტრმა განაცხადა, რომ არსებობს მთელი რიგი ბოროტ-მოქმედებათა პოლიტიკურ და სარწმუნოებრივ ხასიათისა, რომელიც ერთნაირად უნდა იქნენ განხილულნი, როგორც რუსეთში, ისე ფინლანდიაში, მაგრამ მინისტრის აზრით, ფინლანდიაში რუსეთის მართლ-მსაჯულების ინტერესები არ არის ჯეროვნად დაცული. ფინლანდიის სასამართლოები არ ამართლებენ თავიანთ დანიშნულებასაო. შემდეგ კანონ-პროექტი მიღებულ იქნა სავსებით სათათბიროს რედაქციით.

შემდეგი სხდომა დანიშნულია 15 ივნისისათვის.

## დეპეშები
(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

15 ივნისი.

**საზღვარ-გარედ.**

**პეკინი.** გამოაცხადეს ბრძანება, რომლითაც პროვინციების დეპუტატების მეორე შუამდგომლობა პარლამენტის ჩქარა გახსნის შესახებ უარყოფილია. მიზეზად იმას ასახელებენ, რომ შეუძლებელია წინდაწინვე შემუშავებულ გეგმისგან დახევა,—ჩვენ განზრახული გვაქვს კონსტიტუცია ნელ-ნელა შემოვიღოთო. ზემოხსენებულ ბრძანებით იკრძალება ყოველნაირი შუამდგომლობა ამის შესახებ. რადგან საერთოდ ჩინეთში უკმაყოფილება, სუფევს, მანჯურიის ადმინისტრაციას წინადადება მიეცა არამცა და არამც მანჯურიის საზღვრებში რევოლიუციონური პროპაგანდა არ გაუშვას და თუ გაჩნდა ყოველნაირი საშუალება იხმაროს მის აღმოსაფხვრელად.

**პარიზი.** ბრიანმა პასუხი გასცა ინტერპელიატორებს და სთქვა: მთავრობას განზრახვა აქვს რესპუბლიკანელთა უმრავლესობის დახმარებით ისარგებლოს უფლებით. რესპუბლიკის ბრძოლაში ხშირად გამარჯვებისათვის მთავრობა იძულებული იყო უკიდურეს ზომებისთვის მიემართნა, მაგრამ რაკი ბრძოლა გათავებულია, ბელადი, რომელიც პატივს სცემს თავის ჯარს, ვალდებულია შეაჩეროს იგი, რათა გამარჯვებებს ჩირქი არ მოსცხოსო (ტაში მარცხნივ და ცენტრში). ბრიანის ლაპარაკის დროს პალატის სხდომას მეფე ფერდინანდი დაესწრო.

**პარიზი.** ეხლახან პოლიციასთან შეტაკების დროს მოკლული მეტროლე დაასაფლავეს. სინდიკატების წევრებმა დასაფლავების დროს დემონსტრაცია გამართეს. საქმეში ჩაერია პოლიცია. დემონსტრანტებს მასთან დიდი შეტაკება მოუვიდათ. დაჭრილი და დაპატიმრებულია ბევრი.

**ქრისტიანია.** გაზეთების ცნობით, რადგან ფინანსები ცუდ მდგომარეობაში არიან, მთავრობას განზრახვა აქვს სტორტინგს მისცეს მაროშინდელ ბიუჯეტიდან დარჩენილი 4 მილიონი კრონი სახელმწიფო უწყებას საგანგებო გასავლისათვის.

**ბერლინი.** „ნორდ-დეიტშე-ალგემეინე" იუწყება, რომ ტყუილია გაზეთების ცნობები, ვითომ ეილენბურგის საქმე ენკენისთვისთვის ინიშნებოდეს. ეილენბურგი შემოწმეს აპრილში და მაისში და ავად იცნეს, ამიტომ საქმეს გასარჩევად ჯერ-ჯერობით არ დანიშნავენო.

**ოგდენი** (შტატებში). ღამე ქალაქ გარედ სამმა ყაჩაღმა გააჩერა მატარებელი და მგზავრები გაძარცვა. მძიმედ დაჭრილია ერთი ქალი. მცხოვრებლები ყაჩაღებს გამოუდევნენ.

**ლონდონი.** ქვედა პალატა. დეპუტატი პრაისი შეეკითხა: ინგლის-რუსეთის ნოტაში იყო რამე წინადადება, რომელიც შინაურ კონცესიების გაცემის საქმეში ზღუდავდა სპარსეთის მთავრობას თუ არაო. გრეიმ უპასუხა: მე ჯერ-ჯერობით არაფერი არ შემიძლიან ვსთქვა იმ ურთიერთობის შესახებ, რომელიც არის გამართული ერთის მხრით ინგლისსა და რუსეთს შორის და მეორე მხრით ინგლისსა და სპარსეთს შორის. მეორე შეკითხვაზე გრეიმ უპასუხა: ჯერ სპარსეთის ჩრდილოეთში საქმეთა მდგომარეობა არ არის ისეთი, რომ შეიძლებოდეს იქიდან რუსის ჯარის სრულიად გაყვანა, მაგრამ ვფიქრობ, რომ ჯარს მაინც შეამცირებენო.

### რ უ ს ე თ ი

**მოგილევი.** (გუბერ.) სოფელ სემენოვკაში და ლოპატინში გადაიწვა 77 სახლ-კარი.

**პეტერბურგი.** დონის, თერგის და ყუბანის ოლქები, ჩერნიგოვის, ვორონეჟის, კურსკის და სტავროპოლის გუბერნიები, მოზდოკის, მოზირის, იგუმენის, პინსკის, რეჩიცის და სლუცკის მაზრები ხოლერის მხრივ საშიშოდ გამოაცხადეს.

**მოსკოვი.** მოსკოვის საოლქო სასამართლოს საქალაქო განყოფილების სხდომის დროს უეცრად გარდაიცვალა მოხუცი ნაფიცი ვექილი სტოლპოვსკი.

**მინსკი.** ნოვოგოროდის მაზრის სოფელ სკობელევის ბანკში დარა-

# საქართველო და რუსეთი*)
(ისტორიული მიმოხილვა რუს-ქართველთა დამოკიდებულებისა XV—XVIII-ს.)

I.

### პირველი დესპანები და თარდუს შამხოლი.

პირველი ცნობები საქართველოს დამოკიდებულობისა რუსეთთან მეთხუთმეტე საუკუნეს არ გასცილდება. ამ საუკუნეში ორი ფრიად მნიშვნელოვანი აქტი მოხდა საქართველოსათვის, სტამბოლის დაცემა და საქართველოს სამ სამეფოდ დაყოფა, რომელთაც გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონიეს საქართველოს მთელი შემდეგი ისტორიისათვის. საქართველო, ერთის მხრით მძლავრს ქომაგს მოკლებული და მეორეს მხრივ სამ სამეფოდა და ხუთ სამთავროდ დაყოფილი, დასუსტდა და დაეცა. ამ უკანასკნელს გარემოებას, ე. ი. სამს სამეფოდა და ხუთს სამთავროდ დაყოფას საბედის საწერო მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსათვის, დაიქსაქსნენ და მისუსტდნენ. მეფე ალექსანდრეს, რომელმაც 1442 წელს გაუყო თავისს შვილებს საქართველო, ვერ წარმოედგინა რა უბსკრულს უმზადებდა ბედკრულს საქართველოს. „სწორედ რომა ვსთქვათო, ამბობს მარი ბროსე, ამ დროიდგან ივერია არ არსებობსო".[1]) მართლაც და ეჭვი არ არის, რომ ისედაც პატარა საქართველო დიდს გასაჭირში უნდა ჩავარდნილიყო. რვა ნაწილად ვაპობილს, საქართველოს ერთიანს სხეულს შემაერთებული ძაფი გაუწყდა, მის მთლიანობასა და ერთიანობას სამუდამოდ სამარე გაეთხარა. პატარა სამთავროები ცალკ-ცალკე გადგნენ ყველანი, საკუთარს ჭირ-ვარამში გაებნენ, მარტოდა თავიანთს სამფლობელოს უზრუნველ-ყოფაზედ და ბედნიერებაზედ ფიქრობდნენ, ერთმანეთს კი არამც თუ მეგობრობდნენ და საერთო ძალით უპკლავდებოდნენ მტერს, პირიქით ხშირად მტრობდნენ, ქიშპობდნენ, ძმა-ძმის სისხლსა ღვრიდნენ, იკლებდნენ ერთმანეთის სამეფოს და სხვა და სხვა. ამითი სარგებლობდა სპარსეთი და ოსმალეთი, ხან ერთი და ხან მეორე ჰქელავდა, ანგრევდა, იმონავებდა და ამასთანავე, როგორც უკიდურესი ფანატიკოსები, მეცადინეობას არ აკლებდნენ საქართველოს გასამუსულმანებლად.

ასეთი იყო საქართველოს მდგომარეობა, როცა კახეთის მეფემ ალექსანდრე პირველმა რუსეთს დესპანები გაუგზავნა. ეს დესპანობა მოხდა **1492** წელს, როცა რუსეთში მეფობდა ივანე მესამე. საუბედუროდ ამ მეტად საინტერესო დესპანობის ისტორია ისეთის ბინდით არის მოცული, რომ ადამიანი დანამდვილებით ვერაფერს იგებს. საქმე იმაშია, რომ ქართულ წყაროებში არავითარი ცნობა არ შენახულა, რუსულს წყაროებში კიდევ პატარა ნაწყვეტებს-ღა ვხედავთ, რომელნიც ერთად ერთს მასალას წარმოადგენს ამ დესპანობის ისტორიისას.

აი ეს ცნობებიც. პირველი მათგანი მოთავსებულია მოსკოვის საპატრიარქო ბიბლიოთეკის კრებულში და შემდეგ შეიცავს. „დიდს მეფესა და ბატონს, დიდს თავადს შორეულის ქვეყნიდამ უმდაბლესი მონა თქვენი ალექსანდრე თაყვანსა გცემთ. სიბნელეთა სინათლეო, ლაჟვარდ ცის მნათობო ვარსკვლავო, ქრისტიანეთა იმედო, სარწმუნოებისა ჩვენისა სავანევ, უბრწყინვალესო მეფეო, ყველა მეფეთა და მთავართა საყუდრო, დავრდომილთა შემწეო, მეფეთა შორის დიდებულო, მშვიდობისა და სათნოების მომფენო. დიდსულოვან მეფეთა ლოცვითა და წყალობითა, ჩვენ ივერიელნი კარგად ვართ. თქვენი კარგად მყოფობაც გაგვიგონია და მადლსა ვწირავთ უფალსა. თქვენ ფერხთა წინაშე თაყვანის საცემლად და ამბის გასაგებლად წარმოვავლინეთ ნარიმანი, დამიანე და ვინმე შექელი მათთან ამხანაგად. კეთილი ჰქნას ღმერთმა გაცნობა ჩვენი. ღმერთმა ბედნიერ გვქმნას მუდამ ჟამს. თქვენი მონობის ულირსი ალექსანდრე, დაწერილ არს ოთხმოცდა თერთმეტსა, იანვარსა[2]).

გარდა ამისა რუსეთის მატიანეში ვპოვეთ ამავე ამბის შესახებ შემდეგ მცირე შენიშვნასაც: „ამავე ზამთარში (7000 წ. ქვეყნის გაჩენიდამ) მოვიდა დესპანი დიდ მთავართან, ივერიელთა ქვეყნიდამ, მეფე ალექსანდრესაგან, სახელად მურადი[3]).

აი მხოლოდ ამ ნაწყვეტებსა ვხედავთ რუსეთის ისტორიაშიც. აქ არც ის არის ნათქვამი, რისთვის მივიდნენ საქართველოს დესპანები, რა სთხოვეს რუსეთის დიდს მთავარს, ან რა შედეგი მოჰყვა მათს შუამდგომლობას. ეს კიდევ არაფერი, თვით ელჩების შესახებაც კი არ იძლევიან სწორე ცნობებს. როგორც პირველის ცნობებიდგან დავინახეთ, ელჩებად ყოფილან დამიანე, ნარიმანი და შექელი, მეორე ცნობებით კი გამოდის, რომ ელჩად ეს სამნი კი არ ყოფილან, არამედ, სულ სხვა პირი, ვინმე მურადი. რად მოხდა ასეთი განსხვავება, ძნელი ასახსნელია. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ დამიანესა, ნარიმანისა და შექელის გარდა, რომელნიც გრამოტაში არიან მოხსენებულნი მეფემ მურადიც საჭიროდ დაინახა გაეგზავნა. რამდენადაც თვით სახელი გვიჩვენებს, მურადი ბერძენი უნდა იყვეს. ასეთის ადამიანის გაგზავნა კი საჭირო იყო, თუ გავიხსენებთ იმ გარემოებას, რომ საქართველოში რუსულის მცოდნე არ მოიძებნებოდა და არამც თუ ეხლა, შემდეგშიაც დიდხნობამდის, ვიდრე რუსეთში მთელი კადრი არ შესდგებოდა ქართველ ემიგრანტთა, მიწერ-მოწერა და მოლაპარაკება რუსებთან მარტოოდენ ბერძნულის ენაზედ სწარმოებდა. ამიტომ საჭირო იყო ბერძნული ენის მცოდნე კაცის გაგზავნაც, რომლის საშუალებითაც მოლაპარაკება უნდა გაემართნათ. შესაძლებელია ეს ბერძენიც გააყოლა მეფემ, როგორც თარჯიმანი, დანარჩენს დესპანებს, რის გამოც მისი სახელი, როგორც თარჯიმანისა, გრამოტაში სრულიად არ მოიხსენიება. რუსეთის მატიანეს კი მისი სახელი შეუნახნია, როგორც მათთან პირდაპირ მოლაპარაკისა და მოსაუბრისა და დანარჩენებისათვის კი ყურადღება არ მიუქცევია. ან კიდევ მურადმა შესაძლებელია, ისე დააყენა თავისი საქმე მოსკოვში, რომ იმას უფრო პატივსა სცემდნენ და ამის გამო ის უფრო აღნიშნა მემატიანემ, დარჩენ დესპანების სახელის მოხსენება საჭიროდ აღარ დაინახა.

მაგრამ ეს კიდევ არაფერი, თვით მიზანიც კი დესპანობისა ბუნდათ არის მოცული. მ. ბროსე და მასშემდეგ დიმიტრი ბაქრაძეც იმეორებს, რომ მეფე ალექსანდრემ იმიტომ გაჰგზავნა ივანე III-სთან დესპანები, რომ ყაზანის გამარჯვება მიელოცა[4]) მაგრამ ისეთი შეხედულობა პატივცემულის ავტორისა, მე მგონი შეცდომად უნდა ჩაითვალოს. ჯერ ეგ ერთი, რომ მილოცვა ისეთი მცირე მნიშვნელოვან გამარჯვებისა, როგორც ივანე III გამარჯვება იყო ყაზანზე, მილოცვათ არც კი ღირდა, მით უმეტეს, რომ ეს საბოლოო გამარჯვება კი არ იყო, არამედ დროებით. ყაზანმა ამის შემდეგ კიდევ მოიდგა სული და მხოლოდ შემდეგ **1552** წელს საბოლოოდ დასცა ივანე მრისხანემ. მეორე კიდევ, ამ გამარჯვების შემდეგ სრული ხუთი წელიწადი გავიდა დესპანების მოსვლამდის და ასეთი გვიანი მილოცვა უხერხული იყო და შეუსაბამო. მესამეთ, თვით გრამოტაში სიტყვაც არ არის ნახსენები ამ გამარჯვებაზე.

შეუძლებელია ეგრეთვე ვიფიქროთ, რომ ალექსანდრეს ქვეშევრდომობა ეთხოვნოს, როგორც ზოგიერთებსა ჰგონიათ. ჯერ ეგ ერთი ამის შესახებ კრინტიც არ არის ნახსენები თვით გრამოტაში და მეორეთაც, თუ ქართველებს ცოტად თუ ბევრად წარმოდგენა ჰქონდათ რუსეთზე, შეუძლებელია ქვეშევრდომობა ეთხოვნათ. თვით რუსეთიც ჯერედ სრულიად არ განთავისუფლებულიყო თათართა ბატონობისაგან, ჯერ კიდევ თავისუფლად არ ამოესუნთქა და წელში გასწორებულიყო და სხვის დახმარების თავი სადა ჰქონდა. გარდა ამისა, მაშინდელი რუსეთი ისე იყო დაშორებული საქართველოს, რომ ბევრიც სდომოდა რუსეთს ქვეშევრდომად მიღება, სიშორისა გამო შეუძლებელი იყო მისთვის. უფრო შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ საქართველოს მარტოოდენ დახმარების თხოვნა ჰქონდა სახეში და მასთანავე სურდა რუსეთთან დაახლოვება და მეგობრობა. ბიზანტიის დაცემის შემდეგ, როგორც ვიცით, მთელს აღმოსავლეთში აღარც ერთი დამოუკიდებელი საქრისტიანო სამეფო აღარ მოიძებნებოდა, რომელთანაც საქართველოს შესძლებოდა მეგობრობის დაჭერა და გაჭირვების დროს ხელის გაწვდენა. ასეთი იყო მხოლოდ რუსეთი. შესაძლებელია ბიზანტიისა და უფრო კი ტრაპიზონის დაცემის შემდეგ, როცა ბერძნები გაიფანტნენ და მოედვნენ მთელს საქართველოს, იმათ მიუთითეს ალექსანდრეს რუსეთზე, როგორც ერთმორწმუნე ერზე, რომლის მეფესაც ჰყავდა ცოლად საბერძნეთის უკანასკნელი მეფის ქალი და ურჩევდნენ მასთან დამეგობრებას და დამოკიდებულების დაჭერას. კახეთისათვის კი მაშინ ასეთი მეგობარი და გაჭირვებაში დამხმარე საჭირო იყო. საქართველოს პატარა სამეფოებად დაქუცმაცების მწარე შედეგმა ჩქარ-

1) იხ. საქართველოს ისტორია, ბროსეს წინასიტყვაობა.

*) იხ. „სახალ. გაზეთი" N 31.

2) იხ. Сборникъ Московской патріаршей библіотеки.

3) Русская лѣтопись по Никонову списку ч. VI.

4) იხ. „Пастырь" жур. за 1888 г. N 14—18. Рѣчь, сказанная при открытіи тифлискаго церковнаго древнохранилища.

ჯმა გააჩერა მანუფაქტურული საქონლით დატვირთული ერთი ებრაელის ურემი. ურემში 5380 გატენილი პატრონა და 3167 გილზი აღმოჩნდა. ურმის პატრონი დააპატიმრეს და გამოძიებას შეუდგნენ.

**მინსკი.** სადგურ მიკაშევიჩზე ვაგონში გარდაიცვალა ტფილისის საოლქო სასამართლოს წევრი პადალკო.

**ოდესა.** გუშინ მოვიდა სენატორი დედიულინი.

**ჩერდინი.** 12 ივნისს სადგურ უსოლსკის ახლოს ფოსტაზე დაცემის დროს დაჭრილნი დარაჯი და მეეტლე გარდაიცვალნენ.

**ჰელსინგფორსი.** საქონლის მატარებელმა № 1003 სადგური ბელოოსტროვი ისე გაიარა, რომ არ გაჩერებულა, რადგან მემანქანეს და ცეცხლის შემკეთებელს დასძინებოდათ. სადგურის ერთმა მსახურმა ორთქმავალზე შეხტომა მოასწრო და მატარებელი გააჩერა.

**ხ ო ლ ე რ ა**

**ტულა.** ნახიჩევანიდან გენზევში ჩამოვიდა ერთი ხოლერით ავადმყოფი მუშა. მას ცოლი გზაში მოკვდომია ხოლერითვე. იგი საერობო საავადმყოფოში მოათავსეს. ზომები მიიღეს.

**ქერჩი.** 14 ივნისამდე ხოლერით ავად გახდა 16, გარდაიცვალა 6, მორჩა 2, ავად არის 9 კაცი.

**ორიოლი.** ლივენის მაზრის სოფ. ზნობმარევში ხოლერით ავად გახდა 13, გარდაიცვალა 6. მორჩა 5, ავად არის 2 კაცი.

**პეტერბურგი.** ხოლერით ავად გახდა ერთი მუშა.

**ნოვოჩერკასკი.** ოლქში კვირის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 76, გარდაიცვალა 20; როსტოვის ოლქში ხოლერით ავად გახდა 191, გარდაიცვალა 86 კაცი; ტაგანროგის ოლქში ავად გახდა 28, გარდაიცვალა 3; პირველ დონეცის ოლქში ავად გახდა 20, გარდაიცვალა 6 კაცი; მეორე დონეცის ოლქში ავად გახდა 30, გარდაიცვალა 6 კაცი; სალსკის ოლქში ავად გახდა 23, გარდაიცვალა 10 კაცი. საოლქო აღმასრულებელმა კომისიამ დაადგინა დააზღვევოს ეპიდემიასთან მებრძოლი ექიმები და ფერშლები.

# ახალი ამბავი

**ტ ფ ი ლ ი ს ი**

✦ **ექსკურსია.** კვირას, 13 ივნისს, საქართველოს სამხედრო გზით ტფილისში ჩამოვიდა კიევის საკომერციო ინსტიტუტის თავისუფალ მსმენელ ქალების და სტუდენტების ექსკურსია, რომელიც დღეს, 16 ივნისს, მიემგზავრება სურამს. შემდეგ ექსკურსანტები დათვალიერებენ ბორჯომს, ბაკურიანს, ქიათურას, ქუთაისს, გელათს, ტყვიბულს, ჩაქვას, ბათუმს, ფოთს, ახალ ათონს, გელენჯიკს და ადესით უკან დაბრუნდებიან კიევში. ექსკურსია გაგრძელდება 5 ივლისამდე.

✦ **ნიაღვარი გურიაში.** „ჩვენ გაზეთს“ გურიიდანა სწერენ: 7 ივნისიდან დაწყებული 11-მდის გამუდმებით წვიმები იყო. წყლები მეტად გადიდდა, ნაპირებიდან გადმოვიდა და თითქმის იარი ვერსის სივრცეზე ყანები სულ წალეკა. მთებიდან ამბავი ჩამოიტანეს, რომ გომის მთაზე და ბახმაროზე ორი არშინი თოვლი მოსულაო, ნახევარი საათის განმავლობაში ისეთი სეტყვა იყო, რომ ნახევარი არშინის სიმაღლეზე იდგაო. რომლებმაც საქონელი გარეკეს მთაზე, სხეულის სხვადასხვა ნაწილები ისე გაყინვია, რომ ზოგს სახე გაფუჭებია და ზოგს თვალი და ზოგს ყური. ამტკიცებენ, რომ ორი კაციც გარდაიცვალა გზაზეო. საყორნიაზე ეხლაც, მიუხედავათ უკანასკნელი დღეების კარგი და მზიანი დარებისა, დიდი თოვლი ძევს. გომის მთაზე 200—300 მეტი საძოვარად გარეკილი სოფლის საქონელი დახოცილა. რა მოხდა სხვაგან ჯერ არ არის გამორკვეული. სიცივემ საშინელი გავლენა იქონია აბრეშუმის ჭიაზე და პარკი სულ გააფუჭა. მთელი არე-მარე წალეკილია. ზარალი დიდია. მოხუცებულები ამბობენ, რომ ასეთი ნიაღვარი არას დროს არ გვახსოვსო. ამასთანავე, ქობულეთიდან გვწერენ, რომ მდინარე კინტრიში ისე გადიდდა, რომ გადმოვარდნილი წყლიდან ქალაქის ქუჩებში გავლა შეუძლებელი იყო, სტრაჟნიკები ცხენებით დადიოდენ და ისე არჩენდენ დახრჩობისაგან ხალხს. ზარალი აქაც დიდია.

✦ **კურს დამთავრებულნი.** ტფილისის პირველ საქალებო გიმნაზიაში წელს 15 ქართველმა ქალმა დაასრულა კურსი და მოწმობებიც მიიღეს. მათი გვარები: არდაზიანი ოლგა (ოქროს მედალით), ბადრიაშვილი ვ., ჯმუხაძე ტ., ნაცვლიშვილი ტ., თარხნიშვილი ე. (ოქროს მედლით), ტყემალაძე ტ., უგრელიძე მ., ავალიანი ტ., არდაზიანი ტ., არლიშვილი ე., ჯორჯაძე ე., ზურაბიშვილი ე., იმნაიშვილი ნ. (ვერცხლის მედლით), კოჩიაშვილი ს. და მჭედლიშვილი ვ.

✦ **ახალ საყასბოს კურთხევა.** გუშინ, 2 საათზე, აკურთხეს და საძირკველი ჩაჰყარეს ქალაქის ახალ საყასბოსი. კურთხევას დიდძალი ხალხი დაესწრო.

✦ **ყალბი საბუთებით ფულის მიღების განზრახვა.** 14 ივნისს, დილის 11 საათზე, ტფილისის მეორე საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში მივიდა უცნობი კაცი და წარუდგინა ამავე საზოგადოების ჩეკი № 8931. 200 მანეთისა, დაწერილი ა. დ. მარქაროვის სახელზე. ჩეკი შეამოწმეს გამგეობის წევრმა და ბუღალტერმა და უცნობს ისევ გადასცეს კასიდან ფულის მისაღებად. როცა კასასთან მივიდა, უცნობმა კასირს წარუდგინა მეორე იმგვარივე ჩეკი 3.500 მანეთისა ყალბი ხელმოწერით და ფულის მიღება უნდოდა. კასირმა ეჭვი შეიტანა ბუღალტრის ხელმოწერილში და ფულის მიცემა შეაჩერა. უცნობმა მაშინვე მიატოვა ჩეკი და გარედ გავარდა გასაქცევად, მაგრამ პოლიციელმა შეიპყრო. შეპყრობილმა განაცხადა, ბორჩალოს მაზრის მცხოვრები სარქის კარაპეტოვი ვარო, ნამდვილად კი ქალაქ ნოვობაიაზეთის მცხოვრები ვაგან იაკობის ძე მამიკონოვი აღმოჩნდა. იგი ბოროტმოქმედებაში გამოტყდა.

✦ **ქართული წარმოდგენა.** დღეს, 16 ივნისს, სახალხო სახლში ქართველ არტისტების მიერ წარმოდგენილი იქნება „და-ძმა“. დასასრულ გაიმართება საკონცერტო განყოფილება. დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზე.

✦ **სანიტარული დათვალიერება.** გუშინ სანიტარულმა ექიმმა და სანიტარულმა მზრუნველმა, მესამე უბნის ბოქაულმა და ფერშალმა ქალაქის მესამე უბანში სადგომი სახლები და სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებანი დაათვალიერეს. კომისიამ ბევრი შენობა ანტისანიტარულ მდგომარეობაში აღმოაჩინა და მათ პატრონებს შესაფერი ოქმები შეუდგინა.

✦ **ნამესტნიკის კანცელარიის ცირკულიარი.** ამ დღეებში ნამესტნიკის კანცელარიამ საგანგებო ცირკულიარი დაუგზავნა კავკასიის გუბერნატორებს, სამხედრო გუბერნატორებს, ოლქის უფროსებს და აგრეთვე ბაქოს გრადონაჩალნიკს. კანცელარია აცნობებს მათ, რადგან ბოლო ხანს ძალიან გახშირდა სამეცნიერო ექსკურსიები, რომელნიც მომეტებულ ნაწილად კავკასიაში მოემგზავრებიან მშვენიერ ბუნების სანახავად, ამიტომ ყოველ გვარი დახმარება აღმოუჩინეთ ამ ექსკურსანტებსაო. ცირკულიარში აგრეთვე ნათქვამია, რადგან კავკასია მარტო თავისი მშვენიერი ბუნებით არ არის შესანიშნავი, ამიტომ გთხოვთ ექსკურსანტებს ყოველგვარი ცნობები მიაწოდოთ, რომელიც კი თქვენ მოგეპოვებათ, რათა მათ შეძლება ჰქონდეთ გაიცნონ კავკასიის თავის ეთნოგრაფიულ, გეოლოგიურ და ისტორიულ ნაშთებითა და სიმდიდრითაო.

✦ **ქალაქის საბჭო.** ორშაბათს, 14 ივნისს, ქალაქის მოურავის თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილის თავმჯდომარეობით ქალაქის საბჭოს ხმოსანთა კრება მოხდა. კრება რვა საათისათვის იყო დანიშნული, მაგრამ წევრთა გვიან მოსვლის გამო მხოლოდ ათის ნახევარზე დაიწყო. კრებას განსახილველი ჰქონდა ბევრი ისეთი საგანი, რომლის გადასაწყვეტად 40 ხმოსნის დასწრება იყო საჭირო და რადგან ამდენი რიცხვი არ დაესწრო, საყურადღებო საგნების განხილვა სხვა დროისთვის გადაიდო და კრება შეუდგა წვრილმან საქმეთა განხილვას. პირველად საბჭომ, ქალაქის მოურავის წინადადებით, ერთხმად დაადგინა აღძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე განთავისუფლებულ იქმნას ქალაქის პოლიციის შესანახ ხარჯისგან. განხილულ იქმნა თხოვნა გამგეობაში მოსამსახურე ქალის ქ-ნ მატინიანც-ზივარიანცისა, რომელიც ფულად შემწეობასა და რამდენიმე ხნით დასვენებას თხოულობდა. ქალაქის გამგეობამ საბჭოს წინადადება მისცა ქ-ნ მატინიანცს ორი თვის ჯამაგირის მიცემით აღმოუჩინოთ შემწეობაო. სტ. ჭრელაშვილმა მოითხოვა, ოთხი თვის ჯამაგირი მივცეთო, მაგრამ საბჭომ დაადგინა მიეცეს ქ-ნ მატინიანცს დახმარების სახით 133 მან. ამის შემდეგ საბჭომ უარჰყო წინადადება ქალაქის გამგეობისა, რომელიც თხოულობდა 1007 მან გადადებას შიოევის სახლობის თანხიდან შიოევის მიერ ნაანდერძევ სახლის შესაკეთებლად. ხანგრძლივი კამათი გამოიწვია საკითხმა ნიაღვრისგან ქალაქის ქუჩებზე ჩამოტანილ ქვიშისა და ნაგვის გააწმენდავად ფულის გადადების შესახებ. გამგეობა ამ საქმისთვის 12.752 მან. გადადებას თხოულობდა, ხოლო საბჭომ 9.752 მან. გადასდო. განხილულ იქმნა აგრეთვე ტრამვაის ახალ დირექტორის ბ-ნ ბელოის შუამდგომლობა. დირექტორი თხოულობდა, ნება მოგვეცით ნაძალადევში უკვე ხმარებაში შემოსულ ლიანდაგის მაგიერ, უფრო მსუბუქი ლიანდაგი დავაგოთ ტრამვაისთვის, რადგან მძიმე ლიანდაგი აქ არა გვაქვს და მის გამოწერას დიდი დრო დასჭირდებაო. საბჭომ ეს საგანი განსახილველად სატეხნიკო კომისიას გადასცა და დაავალა მომავალ ორშაბათს თავისი მოხსენება წარუდგინოს საბჭოს,

✦ **საპედაგოგიო კურსები.** გუშინ, 15 ივნის, ტფ. სამოსწავლო ინსტიტუტის სადგომში საპედაგოგიო კურსები გაიხსნა სახალხო სკოლათა მასწავლებელთათვის. კურსების გახსნამდე შენობა აკურთხეს. დაესწრნენ: ეპისკოპოსი გრიგოლი, ტფილ. გუბერნატორი და სამოსწავლო უწყების წარმომადგენლები. პარაკლისის შემდეგ სახალხო სკოლათა დირექტორმა ბ-ნმა ფედეროვსკიმ შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა. კურსები 15 ივნისიდან პირველ ივლისამდე გაგრძელდება.

✦ 14 ივნისს, ქალაქის სხვა და სხვა უბანში მასიურ ჩხრეკის დროს პოლიციამ 42 უპასპორტო დააპატიმრა.

# მცირე შენიშვნა

ახლა ხან გამოვიდა პრ. მარრის მოზრდილი წიგნი „ვეფხის ტყაოსანის“ შესავალისა და უკანასიტყვაობის შესახებ, რაზედაც ბ. კიტა აბაშიძემ უკვე მოათავსა თანაგრძნობის წერილი გაზეთ „დროება“-ში. ჩვეულებრივი მკითხველისათვის ძნელია ასეთ სპეციალურ გამოკვლევის განხილვა და მე ამას არც მოვინდომებ, მხოლოდ აზრთა გაზიარების სურვილს ველარ გავუძელ და ორიოდე შენიშვნა მინდა მოგახსენოთ პროფ. მარრის წიგნზე: „Вступительныя и заключительныя строфы, витязя въ барсовой кожѣ Шоты изъ Рустава“.

ათი-თორმეტი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, თუ არა ვსცდები, რაც პირველად პრ. მარრის აზრმა „ვეფხის ტყაოსანის“ შესახებ დიდი აურზაური გამოიწვია ჩვენს საზოგადოებაში, ილია და აკაკიც ეკამათებოდენ მას ზოგიერთ საკითხებში, მაგრამ იგი მტკიცედ იდგა თავის ჰიპოტეზაზე იმის შესახებ, რომ უკვდავი ნაწარმოები, რომელშიაც „ქართველები სამართლიანად ჰხედავენ თავიანთ ლიტერატურულ გენიოსობის გამოხატულებას“ (იხ. მისი წიგნი I გვ.), ნათარგმნია სპარსულ დედნიდან ჯერ პროზით და შემდეგ შოთას მიერ ლექსად. ამ აზრს ადგას პრ. მარრი თავის ახალ წიგნშიაც: „იმის **სიუჟეტი ნასესხებია** სპარსულ ლიტერატურიდან, მაგრამ სპარსულ ენაზე აქამდი ვერ გვიპოვნია არა თუ დედანი (**подлинника**) ან თუნდაც მისი კვალი“-ო. პროფესორი არ ეთანხმება იუს. აბულაძეს, ვითომ შოთას მხოლოდ ფაბულა აეღოს სპარსულ „უმნიშვნელო ზღაპრიდან“ და ამბობს: „როდესაც ჩვენს მოწაფეს იუს. აბულაძეს მაინც სურს ჩვენ დაგვარწმუნოს, რომ იგი (სპარსული დედანი) წარმოადგენდა „უმნიშვნელო ზღაპარს“, მაშინ ცხადია, რომ ყოვლის შემძლები „ნაციონალური ტრადიციები“ სჯობნიან მეცნიერულ მორცხვ ოჯახსაო“ (... **побѣду над скромной научной школой**. XL გვ.). პროფ. მარრის აზრით ის დედანი ლექსადაც შეიძლებოდა ყოფილიყო დაწერილი და ისე მშვენიერადაც, რომ თვითონ იგი (შოთა) ადარებს მას (ქართულ პროზაულ თარგმანს) ობოლ ხელის-ხელ საგოგმანებ მარგალიტს და ყველასათვის განცვიფრების საგნად სახავსო“ „კიდევ ერთი ნაბიჯი და გულწრფელი ნაციონალური მიმართულება მეცნიერულ შეგნებამდე გაიზრდება“-ო (III გვ.), ამბობს პრ. მარრი იმ მკვლევარებზე, რომელთაც სწამთ შოთას ჩვენება: „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები, ვპოვე და ლექსად გარდავთქვი“-ო, ამ ტაიპზე ემყარება უმთავრესად პრ. მარრი ამ საკითხის კვლევაში და ამიტომაც ვერ ეთანხმება ბ-ნ. კარიჭაშვილს, რომელიც ერთიანად უარყოფს წინასიტყვაობას. ეგ ტაეპი რომ გადავაგდოთ, თვით შოთას მოწმობასაც ვაბათილებთო. თითქმის ყველაზე საინტერესოა პრ. მარრის „აღდგენილ“ ტექსტში ის ადგილები, სადაც საქმე შოთას მოწმობის ანალიზშია. იგი სრულიად ლოღიკურად და სამართლიანად აღნიშნავს, რომ წინასიტყვაობის ზოგ ტაეპში

---

წამოჰყო თავი მთელს თავის სისასტიკით. კახეთის მეფე გიორგი იძულებული იყო, რათა დამოუკიდებულობა შეენარჩუნებინა, სპარსეთის შახისათვის სამარცხვინო საჩუქრები გაეგზავნა: მონები და მხევლები. ასეთი მდგომარეობა არ შეცვლილა მისის შვილის ალექსანდრეს 1-ის დროსაც, სწორედ ამის გამოა, რომ დესპანებსა ჰგზავნის რუსეთისაკენ და აქებს და ზეცაში აჰყავს რუსეთის მეფე თავისს გრამოტაში. დახმარების და მასთანავე გაცნობა-დაახლოვება, სურვილი უნდა ყოფილიყოს მიზეზი დესპანობისა.

მაგრამ რა დახმარება შეეძლო კაეწია რუსეთს მაშინ საქართველოსათვის, როდესაც თითონაც უნუგეშო მდგომარეობაში იყო. დახმარება შეეძლო მხოლოდ დიპლომატიური და ისიც ოსმალეთთან კი არა, არამედ სპარსეთთან. როგორც ვიცით, რუსეთი იმ ხანებში კარგს განწყობილებაში იყო სპარსეთთან და მისი დესპანებს ხშირი მსვლელობა ჰქონდათ სპარსეთთან. ამის გამო რუსეთს, როგორც სპარსეთთან კარგ განწყობილების მქონეს, შეეძლო ემოქმედნა სპარსეთზედ საქართველოს სასარგებლოდ. აი მხოლოდ ასეთს დახმარების იმედი შეეძლოთ ჰქონოდათ ქართველებს.

რა შედეგი მოჰყვა ქართველების დესპანობას, ამაზედ სრულიად მდუმარებს ისტორია. ეს კია, რომ ამის შემდეგ ქართველებმა დიდის ხნით მოსპეს დესპანების გზავნა და დამოკიდებულობა რუსეთთან. ნახევარ საუკუნეზედ მეტმა განვლო ამ მდუმარებაში და გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ალბად რუსეთს ვერაფერი ნუგეში უცია ქართველებისათვის, თორემ არც მიმოსვლას მოსპობდნენ. ამ ხნის განმავლობაში რუსეთში ბევრი ცვლილება მოხდა, რუსეთის მეფემ იოანე მრისხანემ 1552 წელს სამუდამოდ დასცა ყაზანი, 1556 წელს ზედ მიაყოლა ასტრახანიც და თან-და-თან კავკასიას მიუახლოვდა. გარდა ამისა, იოანე კავკასიას კიდევ დაუნათესავდა და ცოლად ყაბარდოს ბატონის თემრიუქის ქალი ითხოვა. ამ თემრიუქმა შემდეგში სთხოვა იოანე მრისხანეს თავისის მიწა-წყლის დასაცველად სამხედრო ქალაქის გაშენება. იოანემაც აუსრულა თხოვნა 1567, გაჰგზავნა ანდრია ბაბიჩევი და პეტრე პროტასოვი მრავალის ჯარებითა და ზარბაზნებითა, რომელთაც მდინარე თერგზედ სუნჯის წყლის შესართავთან სამხედრო ქალაქი ააშენეს.5) ამ ქალაქის დაარსებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, არამც თუ მარტო ყაბარდოსათვის, მთელ მართლმადიდებელ ქრისტიანთათვის, მუსულმანთათვის კი საფრთხეს წარმოადგენდა. თარღუს შამხალმა მაშინათვე დაუწყო რუსეთის მხედრობას მტრობა, მაგრამ რუსეთმა რამდენჯერმე გაილაშქრა მაზედ, სძლია და შამხალი იძულებული იყო თავისს შვილის გაეგზავნა მძევლად რუსეთის მეფისათვის, დიდი საჩუქრები ეძღვნა და მორჩილება გამოეცხადებინა.

ამ დროსვე უნდა ეკუთვნოდეს მეფის ლეონისაგან დამოკიდებულობის განახლება რუსეთთან. ამ დროს საქართველოს მდგომარეობა არა თუ გაუკეთესდა, არამედ უფრო უკან-უკან წავიდა. ომი სპარსთა და ოსმალთა შორის კავკასიის დასაკუთრებაზედ საშინლად მწვავდება, საბრალო საქართველო მათ შუა იჭყლიტება, ტიალდება და მის კეთილდღეობას ბოლო ელება, ხან ერთი მძლავრი მეფე აოხრებს მას, ხან მეორე. ასეთს მდგომარეობაში მყოფ კახეთისათვის, დახმარება ციდან ჩამოვარდნილი მანანა იქნებოდა. ჯერ კიდევ 1557 წელს დაებარებინა კახეთის მეფეს ლეონს რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლის სურვილი ყაბარდოს ჩერქეზების დესპანის ქანქლიჩისთვის. მაგრამ მაშინ ამ შუამდგომლობიდან არაფერი გამოვიდა და ლეონი კვალად შეეცადა 1563 წელს შუამდგომლობას ინგლისის მოგზაური და ვაჭრის ჯენკისონის შუამდგომლობით. მაგრამ აქ საჭიროა ცოტაოდენი შევსდგეთ და ორიოდე სიტყვა ვსთქვათ თვით ჯენკისონზედ.

მეთხუთმეტე საუკუნეში ვენეციელთა ვაჭრობა შირვანთან და საზოგადოდ კასპიის ზღვის სიახლოვეს მდებარე ქვეყნებთან და სპარსეთთან ისპობა. მათ მაგიერ სცენაზედ გამოდიან ინგლისელნი. უკვე ლონდონის სავაჭრო საზოგადოებამ გაიკვლია მეთექვსმეტე საუკუნეში გზა კასპიის ზღვისაკენ და სპარსეთისაკენ. ანატოლი ჯენკინსონმა 1557—1571 წლებში რამდენჯერმე მიმოვლო სავაჭრო მიზნით რუსეთი, ბუხარა, სპარსეთი და კასპიის ნაპირები. ყოველ ამ მოგზაურობის დროს ჯენკინსონი და მის თანამგზავრნი ვერ ასცდებოდნენ შირვანსაც, როგორც სავაჭრო პუნქტს6), არამც თუ არ ასცდებოდნენ, პირიქით შირვანთან, როგორც სავაჭრო ქალაქთან დიდი დამოკიდებულობა ექნებოდათ.

აი, ამ ინგლისის წარმომადგენელის ჯენკინსონისათვის მიუმართავს კახეთის მეფეს ლეონს. ჯენკინსონი ამბობს თავის წერილებში, რომ 1563 წ. 20 აპრილს, როცა შემახაში ვიყავიო, მაშინ მოვიდა ხეთის მეფის ლეონისაგან გამოგზავნილი კაცი ვინმე სოხესიო და დამისურათა რა კახეთის გაჭირვებული მდგომარეობა, რომელსაც ორი მძლავრი სახელმწიფო სპარსეთი და ოსმალეთი მოსვენებას არ აძლევდნენ და მთხოვდა რამე დახმარება აღმომეჩინა და მესწავლებინა რანაირად შესაძლებელი იქნებოდა რუსეთში ელჩების გაგზავნა და შეეძლო თუ არა რუსეთს საქართველოსათვის დახმარება გაეწია. თუ უკანასკნელი შესაძლო იყო, მაშინ კახეთის მეფე სთხოვდა შუამდგომლობა გაეწია ჯენკინსონს და ეთხოვნა რუსეთის მეფისათვის კახეთისათვის, როგორც საქრისტიანო ქვეყნისათვის, შემწეობა და დახმარება. ჯენკინსონს დაუიმედებია, რომ რუსეთის მეფე ძლიერია და შეუძლიან დახმარება გაუწიოს კახეთსაო. დესპანების გაგზავნა კიდევ ადვილად შეიძლება ჩერქეზთა ქვეყნიდანო, რადგანაც რუსეთის მეფეს ცოლადა ჰყავს ჩერქეზების ბატონის თემრუქის ქალიო7).

გაუწია თუ არა შუამდგომლობა ჯენკინსონმა, ამის შესახებ ის არაფერს იხსენიებს თავისს მოგზაურობაში და აღარც სხვაგან სადმე ვპოულობთ ცნობებს ამის შესახებ. მაგრამ ეს კი ეჭვს გარეშეა, რომ უკვე შემდეგს 1564 წელში, კახეთის დესპანებსა ვხედავთ რუსეთში, ალბათ იმავე თემრუქის შუამდგომლობით და დახმარებით გაგზავნილს, რომლის ქალიც რუსეთის მეფესა ჰყავდა. ნოემბერში 1564 წელს ივანე IV უკან გაისტუმრა „ქართველთა მეფის ლეონის დესპანებიო“, მოკლედ შენიშნავს კარამზინი8) ეს არის და ეს, ამაზედ მეტს ცნობებს ვერა ვპოულობთ რუსულს წყაროებში. რისთვის მოვიდნენ ელჩები, რა სთხოვეს და რა შედეგი მოჰყვა მათს შუამდგომლობას, არაფერს ამბობენ. მაგრამ, რომ შუამდგომლობას ტყუილად არ ჩაუვლია, ამასა მოწმობს ბატონიშვილი ვახუშტი.

„კვალად დღეს დაიპყრა რუსთა მეფემან იოანემ ყაზანი და აშტრახანი და თერგი და დასხნა ყაზახნი თერგს და თარღუს მცველნი თვისნი. ამან ლეკთან წარუვლინა და ითხოვა სპა მცველად ციხეთა კახეთისათა. ამან მოუვლინა და დაადგინა ციხეთა კახეთისათა რუსნი: არამედ განძლიერდა რა შაჰთამაზ წარგზავნა სპანი რუსნი რუსეთადვე და აუწყა განძლიერება შახ თამაზისა, რათა არა მოსწყდნენ სპანი თქვენნი ქვეყანასა ჩემსა“9) როგორცა ვხედავთ ვახუშტის ამ მცირე ცნობიდგან, რუსეთთან შუამდგომლობას გაუჭრია, ივანეს მიუცია სპანი კახეთის დასაცველად ლეონ მეფესაც ისინი ციხეებში ჩაუყენებია. მაგრამ რუსეთის ჯარი დიდხანს ვერ გაჩერებულა სიმცირისა გამო. ეჭვი არ არის სიმცირის გარდა, სხვა საპოლიტიკო მიზეზიც იქნებოდა. ეს მიზეზი კი შემდეგი უნდა ყოფილიყო. რუსეთის მეფისაგან თერგ-სუნჯაზედ სამხედრო ქალაქის გაშენებით საშინლად აისივნენ ოსმალეთის სულთანი და ყირიმის ხანი. ერთი და მეორეც დაჟინებით თხოულობდნენ ქალაქის მოშლას რუსეთის მეფე უპასუხებდა, რომ ქალაქი ჩემის სიმამრის თემრუქის დასაცველად ავაგეო, მაგრამ ოსმალეთი აღარ ისვენებდა და ერთი ხნობა ყირიმის ხანიც კი გაგზავნა რუსეთთან საომრად. თუმცა ამ ლაშქრობიდგან არაფერი გამოვიდა, საქმე ომამდინაც არ მივიდა და ხელცარიელნი გამობრუნდნენ ოსმალნი. მაგრამ ივანე IV მაინც ბოლოს დაკმაყოფილა მათი თხოვნა, რადგანაც არ უნდოდა საქმის გართულება და კეთილი განწყობილების დარღვევა ოსმალეთთან და ყირიმთან. 1572 წელს ივანე IV გასცა ბრძანება თერგის ქალაქის მოშლისა და იქ მყოფის ჯარის ასტრახანში გადმოყვანისა. ამის შემდეგ, როცა მახლობელი პუნქტი რუსეთის მხედრობისა მოისპო ძნელი-და იყო საქართველოში მცირე მხედრობის დარჩენა, რადგანაც გაჭირვების დროს ისინი საგრძნობელ დახმარებას ვერ გაუწევდნენ ლეონს და სამაგიეროდ კი უკვე გაძლიერებულ შაჰ-თამაზს ტყუილ-უბრალოდ გადიკიდებდა. ამიტომ მეფე ლეონიც იძულებული იყო ის მცირე მხედრობა, რომელიც რუსეთმა გამოიმეტა მისთვის, უკანვე გაეგზავნა.

ქალაქი კი ვითომ მოშალა რუსეთმა. მაგრამ ყაზახები თავისას არ იშლიდნენ და თან და თან მატულობდნენ სუნჯასა და თერგზედა. რუსეთის მთავრობისათვის ყაზახების გამრავლება ჩრდილოეთ კავკასიაში სახეირო იყო, ამიტომ არამც თუ არ უკრძალავენ, პირიქით ყოველ მხრივ ხელს უწყობენ მათ იქ დამკვიდრებას. ოსმალეთის მთავრობას კი, რომელიც თხოულობს ყაზახების განდევნას, ასე უპასუხებს რუსეთი, ეგენი რუსეთიდგან ლტოლვილი ყაჩაღები და ქურდები არიან და ჩვენ მაგათან საქმე არა გვაქვსო.

**ზ. ედილი.**

შემდეგი იქნება

5) იხ. Карамзинъ, исторія Россійскаго государртва" т, IX прим, 268.

6) იხ. Историческій обзоръ Бакинской губ. Зейдлица გვ. 29.

7) იხ. Толстой გვ. 14—15

8) Карамзинъ, Исторія государ. Россійск. т. IX примѣч. 268.

9) იხ. „ქართლის ცხოვრება“ ტომი 2 გვ. 107.

თვით პოემაზე ავტორი ხან როგორც უკვე შეთხზულზე ლაპარაკობს და ხან როგორც შესათხზველზეო. მაგალითად მე-16 ტაეპში (მე-19 გამოცემა, კარიჭაშვილისა) სწერია: „**ვპოვე** და ლექსად **გარდავთქვი**“-ო და მე-6 კიდევ: „აწ ენა მინდა გამოთქმად მე, გული და ხელოვნება“... „მისგნით მაქვს მივსცე გონება“-ო; ან კიდევ მე-7-ში ვკითხულობთ: „**დავსხდე**, რუსთველმან **გავლექსე**, მისთვის გულლახვარ-სობილი, აქამდის ამბად ნათქვამი, აწ მარგალიტი წყობილი“-ო. პრ. მარრის შეუძლებლად მიაჩნია, რომ „ავტორს შესავალ ტაეპებში, ერთ და იმავე ნაწარმოებზე ელაპარაკა, ხან როგორც წინამდებარე საქმეზე და ხან კი დასრულებულზე“-ო (35 გვ.). მიუხედავათ ასეთი აღმოჩენისა, პრ. მარრი მაინც არ მიდის ბ. კარიჭაშვილის დასკვნამდე, ე. ი. იმის ნაცვლად, რომ წინასიტყვაობა მთლად უარყოს, იგი ასეთ გასაჭირ მდგომარეობიდან ამნაირად გამოდის: ყოველგან, სადაც კი ზმნა ნამყო დროში ა დასმული, იგი აორისტში სვამს (იხ. 8, 16 ტაეპი მის წიგნში): „ვპოვე და ლექსად **გარდავთქვა**, საქმე **ვქმნა** საჭოჭმანები“... „**დავსხდე** რუსთველი, **ვლექსვიდე** მისთვის...“ ამრიგად, რასაკვირველია, მოვლილია ყველა სცილდა და ხორიბდა, რომელსაც სხვა მკვლევარები თავს ვერ აღწევდენ, მხოლოდ ჩემი აზრით პრ. მარრის უფლება არა ჰქონდა ეთქვა: „ჩვენ აქ სრულიად არ ვეხებით ა. სარაჯიშვილის საგულისხმო შრომის შემდგომ ნაწილებს, რომელნიც პოემას ეკუთვნიან. აქაც ბევრია სწორი დაკვირვება, მაგრამ საერთოდ მთელი შრომა აშენებულია შეუზღუდველ სუბიექტივიზმზე“-ო (3 გვ.), რადგანაც ჩვენს გემოვნებაზე დროთა სრულიად გამოცვლა, ერთი სიტყვის ნაცვლად სულ სხვა სიტყვის ჩამოსხმა და რამოდენიმე მაგალითი, რომელთაც ქვემოდ მოვიყვან, ისევ და ისევ სუბიექტივიზმის ნაყოფია.

პრ. მარრი უარყოფს სარაჯიშვილის მოსაზრებას, რომ თამარს არც ისე ეპაშნიკებოდა თვალთა და ბაგეთა ქებაო, იმ არგუმენტით, რომ ჩახრუხაძე რამოდენიმე ოდაში თამარის კბილებს, თვალებს და ტუჩებს ადიდებს და სჩანს თამარის დასტური ჰქონიაო. ჩემის აზრით, ჩახრუხაძე თავის ოდებისათვის რომ არ გაურიზგიათ, ეგ იმდენად საკვირველი არ არის, მაგრამ მართლადაც დაუჯერებელია, რომ თამარს შოთასთვის მრავალ გზის ეთხოვოს (თუნდ ებრძანებიოს): ქება წარბთა და წამწამთა, იმათა და ბაგეკბილისა, ბროლ-ბალახშისა თლილისა, მთთ მიჯრით მოწყობილისა“... და ეგ **თხოვნა** იმდენჯერ გაემეორებიოს, რომ შოთასთვის თავი მოებეზრებიოს და მისი მტკიცე უნდობლობა ეაძლიოს?! თუნდაც რომ შესაძლებელი ყოფილიყო თამარის მხრით ასეთი საქციელი, როგორ ვიფიქროთ, რომ მგოსანი, რომელიც მიჯნურზე ასეთი აზრისაა: „ჰხამს თავისსა ხვაშიადსა არვისთანა ამჟღავნებდეს“, გამაამჟღავნებდა თავის სიყვარულს. ეს რასაკვირველია პროფ. მარრსაც შეუძლებლად მიაჩნია და კიდეც მთელი ეს ტაეპი (13 სტ.) ყალბად გამოუცხადებია. თუ ამ ტაეპს თავიდან მოვიშორებთ, რა თქმა უნდა, შოთას სიტყვასა და საქმის შორის უთანხმოება ცოტათი შემსუბუქდება, მაგრამ ამ ტაეპის გარდაც საკმაოა მივუთითოთ 2, 3, 4, 5, 7 ტაეპებზე, სადაც ავტორი მაინც თავის სიყვარულზე და იმის საგანზე გველაპარაკება:... „მას ვაქებ **ვინცა მიქია**“-ო, მაგრამ პრ. მარრს ეგ ადგილიც მშვენივრად აქვს გასწორებული: „მას ვაქებ ვინ ცამ **იქია**“-ო და ეგ ყოფილა **аористъ II-ой породы второобразной глагольной основы произведенной отъ нарѣчія** იქი (იქ, იქა) არა მგონია შოთას სცოდნოდა იმდენი ფორმები, რამდენიც პროფ. მარმა იცის)] **დეე** ეგ აგრე იყოს და ახლა თვით პოემის შუაგულში გადავიხედოთ. გავიხსენოთ, რომ ანდერძამდი ავთანდილი თავის შერმადინსაც არ უმხელს თავის სიყვარულს; ასმათი სიკვდილს არჩევს ტარიელის საიდუმლოს გამხელას; თვით ტარიელის საიდუმლო მხოლოდ შეუკავებელმა მწუხარებამ გამოამჟღავნა ფრიდონთან და ტარიელიც ეუბნება; „აწ გიამბობ, რადგან თავი გინ **დაჩემად ამხანაგად**“-ო; ნესტან-დარეჯანი არც ფატმანს, არც ზღვათა მეფეს მელიქ-სურხავს, არც ქაჯეთის ციხეში იგი არავის უმხელს თავის ვინაობას, თორემ, ვინ იცის, ეგებ იმათაც სცოდნოდათ ტარიელის ამბავი, რადგან ტარიელის სიტყვით: „ინდოეთს შვიდთა მეფეთა **ყოველი კაცი ხართ მცნობელი**“-ო და ვინ იცის, ეგებ ნესტანის დატყვევება ვერ გაებედნათ. ამნაირად ვხედავთ რომ არც ერთი მიჯნური „ვეფხვის ტყაოსანში“ თავის ხვაშიადს არ ამჟღავნებს და თვით შოთა კი მთელს ქვეყანას ამაზე ჩასჩაჩინებს. ამასთანავე საინტერესოა, ნუ თუ თვით თამარი ზნეობით ასე დაბლა იდგა სპარსელ-არაბეთელ-ინდოელ ქალზე, რომ თავის ტუჩების და თვალების ქებას ასე დაჟინებით სთხოვს თავის მხლებლებს. (თუ კი მივიღებთ, რომ პოემაში სხვათა მეფეთა ზნე და ჩვეულებანი არიან აღწერილნი). ნესტან-დარეჯანი კი თავის მიჯნურს ეუბნება: „ბედითი ბნედა, სიკვდილი რა მიჯნურობა გგონია? სჯობს, საყვარელსა აჩვენნე საქმენი საგმირონია“-ო; თინათინიც ავალებს საგმირო და სახიფათო საქმეს თავის ავთანდილს: „წადი, იგი მოყმე სძებნე ახლოს იყოს თუნდა შორად“. რითი და გაირჩევა სათნო თამარი ლერმონტოვის ცბიერ თამარისაგან, რომელიც მან დარიალის ხეობაში ჩასვა, რასაც პრ. მარრი ასეთი გულისწყრომით იხსენიებს. (იხ. მისი **краткая исторія грузіи**)? ასე რომ, თუ ეს ტაეპი (მე-6 5: „მიბრძანეს მათდა“...) შოთას კალამს ეკუთვნის, არ უნდა გაგვიკვირდეს გადმოცემა, რომ სამღვდელოებამ „ვეფხის ტყაოსანი“ ცეცხლში დასწვავო, რადგანაც თანამედროვენი ერთობ კარგად იცნობდენ და თან სათნოების განხორციელებად მიაჩნდათ თამარი, რომ ასეთი ცილის წამება აეტანათ. მასთან ცხადი უნდა იყოს, რომ იმ ქვეყანაში, სადაც ვისრამიანი დაიწერა, სადაც შესაძლებელი ყოფილა ქადრაკის თამაშში ცოლის წაგებაც კი, იქ ქალი ვერ იქნებოდა ისეთ მდგომარეობაში, როგორც საქართველოში. **ძველ სპარსეთში** და ეგვიპტეშიც მართლადაც ძლიერ თავისუფალი ყოფილა დედა-კაცი; ზენდავესტაც კულტის მხრით ორივე სქესს სწორ-უფლებიანობას ანიჭებს; აგრევე იყო ახემენიდების დროს, მაგრამ ეს ცნობები დედოფალითა მდგომარეობის მიხედვით არიან შემდგარნი და ესენი კი ხომ ვიცით თუ რა სათნონი იყვნენ. ქსერქსი I-ის ცოლი ამეტისი, ართაქსერქსის და—ამიტის, დარიოსის ცოლი—ჰარიზატის და მისი რძალი სტატეირა ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ გასაოცარ გარყვნილებაში და სრულიად არა გვანან ვეფხის ტყაოსანის გმირებს.

რაც შეეხება პრ. მარრისაგან გასწორებულ სიტყვებს: „შერისა; ვინ ცამ იქია; ნაი; ხელოვნება; გესმისთ ჩემი ნაუბარი? და სხ. მართლადაც გასაოცარი მოხდენით და ლოღიკურად არიან თავიანთ ადგილას ჩასმულნი, მაგრამ ასეთი რედაქცია და ტაეპებთა წყობილება მხოლოდ **შესაძლებლად უნდა ჩაითვალოს**, რადგანაც ისეთი საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა, როგორიცაა: პოემა ნათარგმნია თუ არა, რა ეკუთნის შოთას კალამს და შემოქმედებას და სხ. ასეთი მტკიცებით ვერ გადაწყდება როგორიცაა მაგალითად: „ეგ საინტერესო ისტორიულ-ლიტერატურული შენიშვნა რასაკვირველია (конечно) შოთას ნაწარმოები არ არის“-ო. (იხ. 54 გვ.) ამას პრ. მარრი დასასრულის უკანასკნელ ტაეპზე ამბობს (1576 ტაეპი), მაგრამ, თითონ პროფესორის სიტყვისა არ იყოს, 816 ტაეპის შოთას სიტყვებად მიღება ისევ და ისევ სუბიექტივიზმის ნაკარნახევია. **ბორჩელი.**

(დასასრული იქნება)

## მოწერილი ამბები

**ს. გურჯაანი** (სიღნაღის მაზრა) დიდგა გაზაფხული თუ არა აქაურმა ნაძირალებმაც მიჰყვეს ხელი თავიანთ ხელობას; ძალიან გახშირდა ქურდობა და ავაზაკობა. ამას წინად აქ გატეხეს მთელ სოფელში ერთად ერთი ხეირიანი ფარჩის მაღაზია, სადაც ადამიანს საჭიროების დროზე საჭირო ნივთების შოვნა შეეძლო. წაიღეს 200 მან. ფულათ და რაც რამ ძვირფასი საქონელი იყო. ამას შეეძლო მოუღო მაღაზიის დაკეტა.

გავიდა რამოდენიმე დღე და ვიღაც მაწანწალა თავს დაეცა ერთ მოხუც მეწვრილმანეს და მთელი თვის ნავაჭრი 30 მანეთი ხელიდან გამოაცალა.

ყველა ამ სისაძაგლეს ზედ დაემატა საშინელი საზიზღრობა, რამაც დიდათ ააღელვა მთელი სოფელი.

7 ივნისს სოფ. ზიარიდან, სადაც ამ დღეს დღეობა იციან, თავის სახლში მოხავალა ახალ გაზრდა უმაწვილი რაქვიაშვილი.

გურჯაანის ახლოს მას დახვედრიან ვიღაც ავაზაკები, წაურთმევიათ ვერცხლის ქამარი, საათი, ფული, ორჯერ ბერდანის თოფი დაუხლიათ და იქვე მოუკლავთ. საბრალოს დარჩენია მოხუცი დედ-მამა და ახლად ჯვარდაწერილი ცოლი. მშობლების მწუხარებას საზღვარი აღარ ქონდა, როდესაც დღეობაზე წასული შვილი მოულოდნელათ საკაცით მოუტანეს კარებზე.

ჯერ-ჯერობით ეჭვით შეიპყრეს ერთი კაცი.

აქაური ვაჭრების თავგასულობას საზღვარი არა აქვს. ამათთვის არ არსებობს არც ნიხრი, არც კანონი და ყველაფერი მათ გაუმაძღარ სურვილზეა დამოკიდებული. მიუხედავათ იმისა, რომ აქ რამოდენიმე დაწესებულებაა (მაგ. სასვათმყოფო, ფოსტა, მომრიგებელი შუამავლისა და ბოქაულის კანცელარიები, კერძო აფთიაქი და სხვა) და მომხმარებელი საზოგადოება საკმარისია—აქ ხორცს კვირაში ორჯერაც ვერ იშოვის ადამიანი. თუ რომ ხორცს ნიხრი დაუდეს, როგორიც მაგ. სიღნაღშია, ეს აქაური მოვაჭრეებს არაფრით და ამისთვის საქონლის დაკვლაზე უარს ამბობენ. თუ ნიხრი არაა, მაშინ ბევრსაც დ ჰკლავენ, მაგრამ აბაზათაც გახდიან გირვანქას, რასაც უმეტესად ადგილი ქონდა მთელი ზამთარ-ზაფხულ. კარგი იქნებოდა რომ ამ საკითხზე ყურადღება მიაქციოს ვისაც ჯერ არს და აიძულოს მოვაჭრეები მორიგეობით დაკლან საქონელი ან და ცალკე სასაკლაო გაადებინას ვისმე და მფარველობა გაუწიოს მას, რადგანაც უკანასკნელის მსურველი ბევრია, მაგრამ ვაჭრების შეჯიბრებას უშინიანთ. **ონ.—ის.**

---

**სოფ. მეჯვრისხევი** (გორის მაზრა) წელიწანდელს ჩვენს სოფელში ბაზრობას, ჩვეულებრივად, მრავალი ხალხი მოაწყდა. საზოგადოთ, ბაზრობა სოფელში—ეს თავისებური გართობაა სოფლისათვის. აქ შეიძლება ვნახოთ თუ რას აწარმოებს, ანუ რის მოყვანა-მოშენებას მისდევს ესა თუ ის რაიონი. საინტერესოა ვიკითხოთ რას ჰყიდის აქ ამ ბაზრობის დროს ქართველი მეურნე თავისი ნაწარმოებიდან? საუბედუროთ, არაფერს. პური, ღვინო და ხილეულობა, რომელიც შემოსავლის ერთად-ერთი წყაროა ქართველ სოფლის მეურნისათვის, ჩვეულებრივად, მოსავალზე ან უფრო ადრე ძალაუნებურად ეცლება სოფლის მეურნეს ხელიდან; ხოლო სხვა რამ შინა მრეწველობას, როგორიც არის მაგალ., მეაბრეშუმეობა-მეფუტკრეობა და სხვ... აქ იშვიათად შეხვდებით, ბაზარში რა უნდა გამოიტანოს თავის თავის მეტი? სულ სხვაა ახლო-მახლო მთაში მცხოვრებნი ოსები და მთიულები. ესენი უმთავრესად საქონლის მოშენებას მისდევენ და მეჯვრისხევის იარმუკის უმთავრეს სადღეს-მომცემ ძალას სწორეთ ეს საქონელი წარმოადგენს, მაგრამ მთა განა მარტო საქონელს აწვდის მეჯვრისხევის იარმუკას? ერბოს, ყველს, მატყლს, ხე-ტყის სხვა და სხვა სამეურნეო მასალებს და იარაღებს, თაფლს, საჩოხე-საყაბალახე შალებს, წინდებს და სხვა მრავალ შინა-ნაწარმოებ საგნებს, რომლებიც ამ ბაზარს ასულდგმულებენ, იძლევა მხოლოდ მთა. ბარი კი ამ შემთხვევაში მარტო მყიდველის როლს ასრულებს. აღსანიშნავია ბარის ჩამორჩენა შინა მრეწველობაში. მართალია, ოს მთიულები თავიანთ წვრილ შინა-მრეწველობაში არ გასცილებია პირველ-ყოფილ საშვალებებს და გაუმჯობესებულ საქსოვ დაზგებისა და ცნობილ სეპარატორების მაგიერ ჯერ ისევ ძველებურად ეწევიან უღელს, მაგრამ სულ არარაობას, როგორც ბარშია, კიდევ ამნაირად სჯობია. ბარმა კი ძველი დაივიწყა და ახალიც შინა-მრეწველობაში არაფერი შეუძენია. მე ზევით ჩამოვთვალე რამოდენიმე შინაურულად ნაწარმოები, როგორც მაგალითად, საჩოხე შალები და სხვა, რომელნიც მხოლოდ ოს-მთიულ [illegible] შრომის ნაყოფია. ქართველ დედაკაცს კი რა გამოაქვს ბაზარში პირადათ თავისი შინა-ნაწარმოებიდან? არაფერი. ძველი დაივიწყა, ახალი არაფერი იცის, თუ ახალ-მოდის მაგვარ ხეცმა-დახურვას და „შლიაპოსნობას“ არ ჩავუთვლით ცოდნათ.

ამინდები აქეთკენ ძალიან ცუდია. ეს ერთი თვე ნახევარია უფრო მეორე დღეზე კოკის პირული წვიმა მოდის. ზაფხულის სიცხეები ჯერ არ გვიგემია. პირიქით, ხანდახან საგრძნობლად ცივა კიდეც. თავიდან, საზოგადოთ, მოსავალს კარგი პირი უჩანდა, მაგრამ უამინდობამ ზოგი დააგვიანა და ზოგიც დააზიანა. მაგალითად, ხილეულობა თითქმის სულ ერთიანად განადგურდა. **X.**

---

**ხარაგეული.** ადგილობრივ სკოლებში ეგზამენები ათ ივნისამდე ყველგან დამთავრდა. სამინისტრო ორ კლასიან სკოლაში სწავლა დაამთავრა 15 მოწაფემ. ამ სკოლაში ეხლა სწავლის საქმე ყველა განყოფილებებში სასურველ ნიადაგზეა დაყენებული. წელს აქ მასწავლებელ კალისტრატე წოწონავას დირიჟორობით შესდგა ამ სკოლის მოსწავლეთა საეკლესიო ხორო, სკოლის მეხუთე განყოფილების მოწაფეებთან ერთად. მთავრობის განკარგულებით, ეგზამენი დაიჭირეს სოფ. კიცხის მეხუთე განყოფილების 7 მოწაფემ. ერთის გარდა ყველანი ღირსი გახდნენ მოწმობების მიღებისა, მაგრამ აქაურ მოწაფეებთან შედარებით სუსტები იყვნენ. ამ სკოლის ზედამხედველს ჭურაძეს, როგორც გავიგეთ, უარუყვია არამც თუ 81 წლის პროგრამმა, არამედ გოგებაშვილის რუსული სახელმძღვანელოებიც („რუსკოე სლოვო“ პირველი და მეორე ნაწილი) და მათ მაგიერ სხვა სახელმძღვანელოები შემოუღია. ალბად ეს იყო მიზეზი, რომ ერთმა მისმა მეხუთე განყოფილების მოწაფემ „გოგიელოვი“ დაასახელა „ბუნების კარის“ ავტორად. მთავრობისავე განკარგულებით აქვე უნდა დაეჭირათ ეგზამენი სოფ. ღეღვის სამინისტრო სკოლის მესამე განყოფილების მოწაფეებს, მაგრამ არ დაუჭერიათ, რადგან ასეთი განკარგულება ამ სკოლის მასწავლებელს არ მოსწონებოდა. აქაურ სამრევლო ორ კლასიან სკოლის აგ კარგი არა ვიცით რა, რადგან ამ სკოლაში ეგზამენებზე გარეშე პირი არავინ მოუწვევიათ. გავიგეთ მხოლოდ, რომ ამ სკოლის მასწავლებელი ვასილ დართქიფანიძე მღვდლობას შესდგომია, მის ადგილზე მომავალ ენკენისთვიდან დაუნიშნავთ ანეტა ვეფხვაძის ასული, ქუთაისის ეპარქიულ სასწავლებელში კურს დამთავრებული. ქალთა სამინისტრო ერთ კლასიან სკოლაში სწავლა დაამთავრა 8 მოწაფე ქალმა. ამ სკოლაში სადმრთოსჯულო ყველა განყოფილებებში საკმაოდ გაუვლიათ. ქართულ ენაში მოთხრობები, ლექსები და იგავ-არაკები თუმცა ბლომად გაუვლიათ, მაგრამ სუსტად. ლექსებს ბავშვები კითხულობენ უაზროდ და შეუგნებლად. ქართული წესის სავარჯიშოს ყველა განყოფილებებში შეადგენს მარტო წიგნიდან და საკლასო დაფიდან გადმოწერა. ასოების შნოიანი წერა სუსტად არის დაყენებული, რუსული წერა კიდევ პირველ განყოფილებიდანვე იწყება. ლექსებს და მოთხრობებს ბავშვები კითხულობენ შეუგნებლად. მესამე განყოფილებაში იგავ-არაკებიც იციან ბავშვებმა, მაგრამ არც ქართულად და არც რუსულად შინაარსის გადმოცემა არ შეუძლიათ. სიტყვების ახსნა ქართულადაც კი უჭირთ. რუსული წერა განსაკუთრებით პირველ განყოფილებაში ძალზე სუსტია. ასოებს ბავშვები სწერენ დამახინჯებულად. ანგარიშში ბავშვები ყველა განყოფილებაში მეტად სუსტები არიან. უბრალო რიცხვების შეფარდებაც კი არ იციან. საერთოდ სწავლის საქმე ამ სკოლაში სუსტად არის დაყენებული, რომლის უმთავრესი მიზეზი ის უნდა იყოს, რომ ამ სკოლის მასწავლებელ ქალს დრმად ჰქონია ძვალ რბილში გამჯდარი პირველ წლიდანვე საგნების რუსულ ენაზე სწავლება. **რისხვა.**

## რუსეთი

✦ **მდიდარი მათხოვარა.** ამას წინად პეტერბურგში გარდაიცვალა ერთი მოხუცი მათხოვარა სარახოვი. რადგან მას „არაფერი“ ქონდა, კეთილ ადამიანებს მისთვის უფასოდ ერთი ქოხი დაეთმოთ, სადაც იგი სცხოვრობდა ძიღლუმადურად. სიკვდილის შემდეგ პოლიციამ მის ქოხში აღმოაჩინა ჩვრებში გახვეული 2,748 მან. ოქროს ფული, 1,800 მანეთის მომგებიანი ქაღალდები და ყულაბა 2,500 მანეთის ოქრო-ვერცხლის ნივთებით სავსე. კარგი ღატაკი ყოფილა!

✦ **რევიზია.** კიევში საინტენდანტოს საქონლის ჩამბარ'ლის ხასკინის საწყობში სენატორ დედიულინის რევიზიის მოხელეებმა აღმოაჩინეს რამდენიმე[?]ათი ათასი წყვილი ჩექმა სახაზინო ბეჭდით. გამოძიებას შეუდგნენ.

✦ **განაჩენი სისრულეში მოიყვანეს.** კურსკში სამმა ბავშვმა „სამხედრო სასამართლოს“ თამაშობის დროს თავიანთ ამხანაგს ჩ. მოხრჩობა გადაუწყვიტეს. „მსაჯულები“ მაშინვე გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანას შეუდგნენ. აიყვანეს იგი ბანზე და თოკით ჩამოჰკიდეს. მისდა საბედნიეროდ დედამ ხმაურობა გაიგონა და ბანზე ავარდა. საზარელი სურათი წარმოუდგა თვალწინ: ბავშვს თვალები გადმოეკარკლა და საბრალოდ კანკალებდა. ცოცხალ მკვდარი „დამნაშავე“ სიკვდილს ძლივს გამოგლიჯეს ხელიდან.

✦ **რამდენს ხალხს სჯიან სიკვდილით რუსეთში.** ჟურნალი „უფლება“-ში გრუზენბერგს, სამხედრო სასამართლოების ყოველ წლიურ ანგარიშების მიხედვით, მოჰყავს 1875—1908 წლამდე სიკვდილით დასჯილთა ჯამი. ამ ჯამში შედიან მხოლოდ ისინი, ვისაც სიკვდილი მხოლოდ სამხედრო იუსტიციის ნორმალურმა ორგანოებმა მიუსაჯეს. სამხედრო-საველე სასამართლოების, და დამსჯელ ექსპედიციების მიერ სიკვდილით დასჯილთა რიცხვი ამ ჯამის გარეშე სდგას. 1875—1908 წლებში მხოლოდ სამხედრო-საოლქო სასამართლოების გადაწყვეტილებით სიკვდილით დაუსჯიათ 2,678 კაცი. ამათგან 218 სამხედრო უწყებას ეკუთვნის, ხოლო 2,410 კაცი საეროა. 1875—1880 წლამდე, ხუთი წლის განმავლობაში, დაუსჯიათ სიკვდილით 119 კაცი. შემდეგ 1885 წლამდე დაუსჯიათ სიკვდილით 1881 წელს 71, 1882—76, 3—47, 4—78 და 1885—93 კაცი. 1905—1908 წლამდე სიკვდილით დაუსჯიათ 2,239 კაცი. 1908 წელს, როდესაც მთავრობის სიტყვით, რუსეთში მშვიდობიანობა დამყარდა, სამხედრო სასამართლოში მიუციათ 7,016 საერო პირი; ამათგან სიკვდილით დაუსჯიათ 1,340 კაცი. ამგვარად, მხოლოდ ამ ერთ 1908 წელს სიცოცხლისთვის გამოუსალმებიათ იმაზე მეტი, რაც 33 წლის განმავლობაში.

✦ **სახელმწიფო საბჭოს წევრი ლივენი და ფინლიანდიის კანონპროექტი.** როგორც ვიცით, სახელმწიფო სათათბიროშიც და საბჭოშიც ფინლიანდიის კანონპროექტს ბევრი მტერიც გამოუჩნდა, ბევრი მოყვარეც. საბჭოში ამ კანონპროექტის წინააღმდეგ სხვათა შორის ილაპარაკა თავ. ლივენმა. მისმა სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საბჭოზე. ამნაირ სიტყვას მისგან არავინ მოელოდა. ლივენი საბჭოში იანვრის აქეთ არის და ამის მეტად არ ულაპარაკნია. მისი მთავრობის მიერ შედგენილ კანონპროექტის წინააღმდეგ გალაშქრება უფრო იმიტომ უკვირთ, რომ მას უკიდურეს მონარქისტად სთვლიდნენ. მას კავშირი აქვს გამოჩენილ რეაქციონერებთან და იალტის გენერალ—გუბერნატორის ცნობილ დუმბაძის მფარველად ითვლება, ლივენი 74 წლისაა.

✦ **ბავშვების დამსახიჩრებელთა შეპყრობა.** რიგაში შეიპყრეს ბავშვების დამსახიჩრებელთა ორგანიზაცია. ორგანიზაციაში სულ ქალები არიან. ესენი იტაცებდნენ ბავშვებს, ასახიჩრებდნენ და შემდეგ მათხოვრებსა ჰყიდნენ.

✦ **ახალი განკარგულება მკვდრების შესახებ.** უწმ. სინოდმა განკარგულება მოახდინა, რომლითაც მღვდლებმა დანიშნულ დროს უნდა წარუდგინონ ვრცელი ცნობები იმ პირების შესახებ, რომელთაც მათ სასაფლაოზე დამარხავენ. დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ მეტადრე იმ მკვდრებს, რომელნიც სიცოცხლის დროს ცნობილნი იყვნენ, როგორც საზოგადო მოღვაწენი და ქველმოქმედნი. უნდა წარადგინონ აგრეთვე მათი მოღვაწეობის დახასიათება და პირი საფლავის ზედწარწერებისა.

✦ **ძვირფასი განძი.** კავკასიის სტავროპოლის ახლოს სოფელ კოჩინსკში ერთი გლეხი თავის ბოსტანში, მუშაობის დროს, ძვირფას განძს წააწყდა: [illegible] ვა ერთ ფუთამდის ოქროს [illegible] ცხვრის და გველეშაპის თავებით, სამაჯურები და მრავალი სხვ. ნივთები გლეხს ზოგი უკვე დაერიგებინა აქეთ იქით, ზოგიც გაეყიდნა, მაგრამ გუბერნატორმა უკვე ყველაფერი ისევ შეაგროვა პეტერბურგიდან მოწერილ ბრძანებისამებრ. ეს ნივთები, როგორც ფიქრობენ, საშუალო საუკუნეს ეკუთვნის. ამის მზგავსი რამ ჯერ არაფერი უპოვნიათ რუსეთში. მარტო ოქრო 22,000 მან. მეტისაა. გლეხმა 50,000 მანეთი მოსთხოვა მთავრობას ნაპოვნში, მაგრამ მერმე 37,000 მანეთზე ჩამოვიდა.

## წერილი რედ. მიმართ

„სახალხო გაზეთის“ 6 ივნისის სურათებიან დამატებაში დაიბეჭდა სურათი, რომელსაც ქვეშ მოწერილი ჰქონდა: „**იმერეთის უკანასკნელი დედოფალი მარიამ**“. ეგ სურათი კნ. ელისაბედ მაჩაბლისას ჰქონდა და მე გავაახლებინე პეტერბურგში. ვიცი დანამდვილებით, რომ მარიამ დედოფლის სურათი კი არა, იმერეთის მეფის დავითის მეუღლის **ანნა დედოფლის** სურათია. ანნა დედოფალი თამაზ ორბელიანის და იყო. ელისაბედ წერეთლის ასული კნ. მაჩაბლისა შვილის შვილი იყო ანნა დედოფლის, ზეხათუნ ბატონიშვილის ასული.

**თავ. დიმიტრი ივანესძე ამილახვარი.**


## განცხადებანი

**ექიმი** ე. ს. **ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში**
იღებს შინაგ., ქალ., ბებ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ღარიბებს ორშაბათობით უფასოდ იღებს. (6.—120)

**იყიდება**
ფას-დაკლებით პატენტიანი წვრიმალის მაღაზია საქონლითა და ავეჯეულობით. ნაძალადევი, მე-11 საპოლიც. ნაწ. ზემოდ პარკოვსკის ქუჩა, № 27. (1—319—1)

**როგორ უნდა დავიფაროთ თავი ჭლექისაგან**
და როგორ უნდა მოვირჩინოთ თავი თუ ჭლექი შეგვხვდა.
თხზულება **ა. შაუკესი.** ჰიგიენა ქლექიანებისა
ფასი გაგზავნით 1 მან. 25 კაპ. ფასდადებით 1 მან. 45 კაპ. СПБ. Невскій 108, Т—ва „основа“ 2547. (4—5—2)

**დოქტ. ნავასარდიანისა**
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეებს გარდა
**დილით:**
**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ბეეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.
**ბ. გ. აგასაროვი:** 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.
**კბ. ექ. მ. ფ. ბოგდანოვა:** 9½—1 ს. ექიმობა, პლომბა, ხელოვნ. კბილები.
**საღამოთი:**
**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი:** 6—6½ საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.
**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. ზამკურნალოს დირექტორი
მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

**● ახალი წიგნი ●**
**რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები**
**იაკობ გოგებაშვილისა,**
ტომი პირველი. დაბეჭდილია უკვე 480 გვერდი, დანარჩენი 80 გვერდი დაიბეჭდება ამ თვის დამლევამდის. წიგნი დიდი ფორმატისაა: თითო გვერდზე დატეულია 38 სტრიქონი, თითო სტრიქონში არის 50 ასო. თითო წიგნი ჯდება **სამ აბაზად** [illegible] (8—315—3)